

**ქეთევან ჯინჭარაძე  
ავთანდილ სონღულაშვილი**

**სასამართლო ხელისუფლება და  
სამართალდამცავი ორგანოები  
საქართველოს დემოკრატიულ  
რესპუბლიკაში (1918–1921 წლები)**

თ ბ ი ლ ი ს ი  
2 0 1 9

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის “სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ხელისუფლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წლების)” ფარგლებში.

ნაშრომში დოკუმენტური წყაროებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, შესწავლილია საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ადგილი და როლი ქვეყნის აღმშენებლობაში. წარმოჩენილია სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურა და სამართლებრივი კულტურის დონე. ცალკე ადგილი ეთმობა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებსა და ხერხებს, დანაშაულის აღმოფხვრისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მნიშვნელობას. ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

**რედაქტორი:** პროფ. ირაკლი გაბისონია

**რეცენზენტები:** პროფ. იგორ კვესელავა  
პროფ. ნინო ნიშნიანიძე

**ტექნიკური რედაქტორები:** რამაზ სვანიძე

რამაზ ჩიჩუა

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019

© ქეთევან ჯინჭარაძე, ავთანდილ სონღულაშვილი

**დაიბეჭდა:**

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-25-

# შინაარსი

<b>წინათქმა</b> .....	4
<b>შესავალი</b> .....	8
<b>პირველთაში</b> –საკანონმდებლო ორგანო	
§1. ეროვნული საბჭო .....	13
§2. დამფუძნებელი კრება .....	22
<b>მეორე თაში</b> – სასამართლო ხელისუფლება	
§1. სასამართლოს რეორგანიზაცია .....	28
§2. უზენაესი სასამართლო – სენატი .....	36
§3. საკონსტიტუციო სასამართლო .....	40
<b>მესამე თაში</b> – აღმასრულებელი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები	
§1. მთავრობა .....	48
§2. იუსტიციის სამინისტრო .....	53
§3. შინაგან საქმეთა სამინისტრო .....	57
<b>მეოთხე თაში</b> – ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ .....	63
<b>მეხუთე თაში</b> – სახელმწიფოს ძირითადი კანონი .97 გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა ....	102

## წინათქმა

თითქმის ბოლო დრომდე საქართველოს დამოუკიდებლობის წლების (1918 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე) ისტორიულ რეალობას და ჩვენს ინტელექტუალურ აზროვნებას ტაბუ ჰქონდა დადებული. რაკი მაშინდელი სოციალდემოკრატიული („მენშევიკური“) მთავრობა ხალხის უბოროტეს მტრად იყო გამოცხადებული, ისევე, როგორც ყველაფერი არასაბჭოთა და არაკომუნისტური. მექანიკურად ამოშალეს ჩვენი ისტორიიდან ისიც, რასაც იმ წლებში თვით ხალხი ქმნიდა, ხაზი გადაუსვეს მის მაშინდელ შემოქმედებას. ის ორი წელიწადი და რამდენიმე თვე თითქოს არც ყოფილა. ერთადერთი რისი უგულუბელყოფაც ვერ მოხერხდა, ჩვენი უნივერსიტეტის დაარსება იყო (რაც, რამდენიმე თვით უსწრებდა დამოუკიდებლობის ოფიციალურ გამოცხადებას) სხვა მნიშვნელოვან ფაქტებს ან სულ არ ახსენებდნენ, ან – ცალყბად, გაკვრით, აგდებულად და გაბოროტებით.

ნამდვილად კი ის წლები დიდად ნაყოფიერი იყო სწორედ სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით. კულტურის ყველა დარგში – მეცნიერებაში, განათლებაში, ლიტერატურაში, სამართალმცოდნეობასა და ხელოვნებაში – დროის იმ სულ მცირე მონაკვეთში, მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ყოველი მხრიდან მტრული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა. გასაოცრად მრავალმხრივი და ინტენსიური იყო შემოქმედებითი ცხოვრება. ასეთი ალტყინება მხოლოდ ეროვნული აღმავლობის დროსაა შესაძლებელი. მაგრამ ამ წლების მექანიკური გამოთიშვა წინა წლებისაგან, მხოლოდ 1918-1921 წლებით შემოფარგვლა არ შეიძლება. ის რაც მაშინ შეიქმნა, ადრევე მზადდებოდა, ეს იყო ორგანული გაგრძელება იმ მიზანდასახული შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელიც წინ უსწრებდა დამოუკიდებლობას და – ეს არის მთავარი – ამზადებდა ამ დამოუკიდებლობას სულიერი ცხოვრების სფეროში [1,3].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ასევე წინ უსწრებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რომელიც განუყოფელია იმ საერთო ვითარებისაგან, იმ სულიერი ატმოსფეროსგან, რომელშიც შესაძლებელი გახდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა. ამ მოვლენას ქართველი ერი და მისი ხელისუფლება იდეოლოგიურად შემზადებული შეხვდა [2,145]. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში მოვლენები თავისებურად განვითარდა, შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანო. მისი სრული ბატონპატრონი ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. თუმცა ეს ღონისძიება არ ითვალისწინებდა რუსეთისაგან ჩამოშორებას, მაგრამ ოსმალეთმა ამიერკავკასიის მთავრობისაგან კატეგორიულად მოითხოვა რუსეთთან კავშირის განწყვეტა, რის გარეშეც იგი ზავზე სიტყვის ჩამოგდებასაც კი არ აპირებდა. სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ გამოეცხადებინათ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომელმაც ექვსიოდე თვეს – 1917 წლის 15 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე იარსება.

ამ დროისათვის სომხეთის დიდი ნაწილი თურქეთს ჰქონდა მიტაცებული, აზერბაიჯანმა ამჯობინა თავი შეეფარებინა ოსმალეთისათვის, როგორც ერთმორწმუნე და ძლიერი სახელმწიფოსათვის. საქარველოსათვის აუცილებელი იყო ოსმალეთთან ზავის დადება. მტრის დიდ ძალებთან პირისპირ მარტოდ დარჩენილ ქვეყანას მოლაპარაკება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნებოდა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება [3,5].

საქართველოს პირველ რესპუბლიკას ხშირად ადარებდნენ დემოკრატიისა და სამოქალაქო წესიერების ოაზისს ყოფილი იმპერიის ანარქიულ უდაბნოში. ამიტომ იყო, რომ საქართველო

წარმოადგენდა იმ ჟამად ყველა დევნილთა, ლტოლვილთა და დამარცხებულთა თავშესაფარს: თურქების მიერ ანიოკებული სომხები და ბერძნები, ამის საპასუხოდ სომხების მიერ შევიწროებული მაჰმადიანები, სამოქალაქო ომში დამარცხებულები, რუსებისაგან დევნილი მთიელები და აზერბაიჯანელები. მიუხედავად, მათი რწმენისა და სარწმუნოებისა, საქართველოში პოულობდნენ მშვიდი ცხოვრების პირობებს; და ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით საქართველო დამშეული იყო. მის წინააღმდეგ კი საშინელი ბრძოლა წარმოებდა. ოსმალეთი მას თავის მტრად რაცხდა, ანტანტას თავის მოწინააღმდეგე ბანაკის დამხმარედ მიაჩნდა და ფარულ ბოლშევიკობას სწამებდა, თეთრი რუსეთი იმპერიის დარღვევას და კომუნიზმის აგენტად ნათლავდა, წითელი რუსეთი კი კონტრრევოლუციის ბუდესა და დენიკინის მოკავშირეს უწოდებდა. ამავე დროს ორივე ენერგიულად მოქმედებდა მის შიგნიდან ასაფეთქებლად [4,158-159].

როგორც დავინახეთ საშინელ ორომტრიალში და ქარბუქში ჩავარდა ახლად განთავისუფლებული პატარა საქართველო. მისი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა დიდი მსოფლიო ომის პროცესში, როდესაც საერთაშორისო ძალები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, როდესაც დედამიწა იძვროდა და საშინელი ისტორიული კატაკლიზმები ერთიმეორეს მოსდევდნენ. სამხრეთიდან კარს მომდგარი სასტიკი მტერი ჩვენს აღმოსავლეთ მეზობელს ჩვენდამი ორგულად განაწყობდა. რუსეთის ჯარის დეგრადირებული ფრონტი დაცვის მაგიერ ყოველდღე წაღეკვითა და რუსული „პოგრომით“ გვემუქრებოდა. ჩრდილოეთის სახელმწიფო გადაიქცა საშინელი სამოქალაქო ომისა და ცეცხლის ასპარეზად, მაგრამ ორივე დანასისხლად გადაკიდებული ბანაკი თანაბარი ზიზლითა და მტრობით უყურებდა ჩვენს ქვეყანას და როგორც ეგრეთწოდებული „თეთრი“ და „წითელი“ რუსეთი მზად იყო თავს დასხმოდა საქართველოს და

დაესაჯა იმისათვის, რომ მან თავისუფალი და რუსეთისაგან დამოუკიდებელი ცხოვრება გაბედა... ერთი სიტყვით ჩვენს ირგვლივ ყველგან საშინელი ცეცხლი და სისხლი იყო, ალმური ღვიოდა, არავინ იცოდა რომელი მხრიდან მოედებოდა საქართველოს მძაფრი ხანძარი და როდის ჩაიფერფლებოდა.

აი, ასეთი ფათერაკებით აღსავსე ისტორიულ ეპოქაში მოუხდა ქართველ ხალხს ბრძოლა არა მარტო ეროვნულპოლიტიკური თავისუფლებისათვის, არამედ ფიზიკური გადარჩენისთვისაც. და მიუხედავად დიდი მარცხისა, რომელიც თავს დაგვატყდა 1921 წლის თებერვალმარტში გადაჭრით უნდა ითქვას, რომ სავსებით პირნათლად და ღირსეულად შეძლო ჩვენმა ერმა თავისი ისტორიული ბედის მესაჭეობა იმ საშინელ გრიგალში, როდესაც თითქმის ყოველდღე მისი ფიზიკური არსებობა ბენვზე ეკიდა [4,142].

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური პროცესების ინტენსიურმა და საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის თანახმად საქართველოს მოსახლეობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რაც იმავე წლის 9 აპრილის გადაწყვეტილებით დაგვირგვინდა.

დღევანდელი საქართველო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა. ამიტომ, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილების შესწავლა.

პირველმა რესპუბლიკამ მისი არსებობის მოკლე ხნის მანძილზე მეტად საინტერესო საკანონმდებლო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. გაოცებას იწვევს 1918-1921 წლებში მიღებული საკანონმდებლო აქტების სიმრავლე, მათი მაღალი სამართლებრივი კულტურის დონე, პრობლემატიკის ფართო სპექტრი, პოლიტიკური და ეროვნული ხედვა. ეს ყოველივე დასტურია იმისა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სამართალმემოქმედებითი მოღვაწეობა მიმდინარეობდა იმდროინდელი ცივილიზებული ქვეყნების აზროვნების დონეზე. ჯერ კიდევ V საუკუნეში ნეტარი ავგუსტინე კითხულობდა: „რა იქნებოდა სახელმწიფოები მართლმსაჯულების გარეშე, თუ არა ყაჩაღთა დიდი ბანდები?“ იურისტებისთვის საკმაოდ მიმზიდველია ცხოვრების ყველა ასპექტის კონტროლი, მაგრამ კანონების სიმრავლე აღიზიანებს ხალხს და გრძელვადიან პერსპექტივაში კანონის მნიშვნელობასაც აკნინებს [5, 14].

შეიძლება ითქვას, რომ „ვერცერთი საზოგადოების აზრს ვერ ჩაენვდებით, თუ მისი კანონმდებლობა და სამართლებრივი დო-



ქტრინა თანამიმდევრულად არ გვექნება შესწავლილი“ [6, XV-XVI].

სამართალი სიახლეების გარეშე არ არსებობს, რაც ხშირად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაშინ, როდესაც იურისტები და პოლიტიკოსები კანონების უზენაესობის ღირებულებებს აღნიშნავენ, რეფორმატორები მის ნაკლოვანებებს უჩივიან, ხოლო ცინიკოსები მართლმსაჯულებასთან მის მოჩვენებით ეკვივალენტურობაზე საუბრობენ. და მაინც სამართალს ყველა ცნობს, როგორც სოციალური ცვლილების მისაღწევ საშუალებას და ძალიან ცოტას ეპარება ეჭვი, რომ სამართალი მთავარ როლს ასრულებს საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ, მორალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში [6, XIII].

მოქალაქეთა უმრავლესობა, და თითქმის ყველა იურისტი, ფიქრობს, რომ ხელისუფლება უნდა ემორჩილებოდეს კანონის უზენაესობას. რა ჩაითვლება კანონის უზენაესობად? კანონის უზენაესობა არსებობს, როდესაც ძალაუფლება იზღუდება კანონით, ხოლო მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ძირითადი უფლებები, რასაც მთავრობა პატივს სცემს და არ არღვევს [5, 37].

1918 წლის 24 სექტემბრის კანონით დემოკრატიულ საქართველოში დროებითი სასამართლო შეიქცავლა „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტით“. 1919 წლის 17 იანვარს კი შეიქმნა „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“. მიუხედავად ამისა და სხვა მრავალი სიახლეებისა ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ „1918-1921 წლებში, ანუ იმ წლებშიც კი, როცა საქართველომ რუსეთისგან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქართველოში არ განხორციელებულა სამართლებრივი კუთხით რეფორმები“, რასაც ბუნებრივია ვერ გავიზიარებთ. რა თქმა უნდა, თავდაპირველად იყო სიძნელები, რაც ძირითადად კვალიფიციური

კადრების ნაკლებობით იყო განპირობებული. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სურვილი ჰქონდა გაეხსნა იურიდიული ფაკულტეტი, რაც პირველ ეტაპზე ვერ განხორციელდა; რადგან 1917-1918 წლებში სამეცნიერო ხარისხის იურისტები საქართველოში ერთიორი თუ მოიძებნებოდა [7, 4].

ვიდრე გამოცდილება დაგროვდებოდა არაპროფესიონალიზმი კუროზებამდე მიდიოდა დიპლომატიურ კორპუსშიც კი. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს ამერიკის შეერთებული შტატების კონსულთან „გაუგებრობა“ მოუხედა. გეგეჭკორს დაავინყდა, რომ სმითი უზარმაზარი ამერიკის წარმომადგენელი იყო, ხოლო თვითონ კი – პატარა საქართველოსი. ის, ზოგჯერ, სიფიცხესა და ამპარტავნობას იჩენდა. მინისტრმა მებაჟეებს გააჩხრეკინა ამერიკის კონსულის დიპლომატიური ჩემოდანი. ეს ამბავი ცეცხლის ალივით მოედო საქართველოში მყოფ ყველა წარმომადგენელს. ევგენი გაჯიუტდა და, ცხრა თვე ბოდიშს არ იხდიდა. ბოლოს, გეგეჭკორი და სმითი იტალიის წარმომადგენელმა ჩერუტიმ შეარიგა. სამწუხაროდ ამ ინციდენტს ორი ცუდი შედეგი მოჰყვა საქართველოსთვის. კერძოდ, ჩემოდნის ამბავი კონსულმა დაწვრილებით ამცნო ვაშინგტონს. ამერიკელებმა ჩვენს მთავრობას ფსევდომთავრობა უწოდეს და ეს გაიმეორა კიდევ მოკავშირეების უზენაესმა საბჭომ. მეორეს მხრივ, ამერიკის კონსული ამჯერად უკვე ურჩევდა ამერიკელ მრეწველებს, არ წამოეწყით საქმეები საქართველოში, სანამ მას დე იურე იცნობდნენ [8, 57].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროის მოკლე მონაკვეთში, მით უფრო თვითმპყრობელობის რეჟიმიდან ახლად თავდალწეულ ქართულ სახელმწიფოში, რომელსაც დემოკრატიული განვითარების არც ტრადიცია ჰქონია და არც გამოცდილება, ცხოვრება ვერ მოეწყობოდა კანონების სრული შესაბამისობით. იყო ობიექტური

სიძნელები და აღინიშნებოდა სუბიექტური ხასიათის დარღვევებიც. ოპოზიცია სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ამხელდა დამფუძნებელი კრების იგნორირებაში და მოითხოვდა მისგან, დაეცვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების „უფლებრივი წონასწორობით განპირობებული სახელმწიფოებრივი სიმტკიცე“. ეროვნულდემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია მიუთითებდა: „მთავრობას არა აქვს დამფუძნებელი კრების რიდი, იგი ბატონობს ანგარიშიუცემლად“, და რომ: „მმართველი პარტია ისე უყურებს საკითხს, თითქოს მას უფლება არ ჰქონდეს თავისი წიალიდან გამოსულ მთავრობას ანგარიში მკაცრად მოსთხოვოს, საფუძვლიანად გააკრიტიკოს და პასუხი აგებინოს“ [9, 111].

მართლაც, „საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება“ დაკომპლექტებული იყო ერთი და იგივე ძალის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი და იგივე წარმომადგენლების სახით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოში ძალაუფლებას მეტნაკლებად სახალხო გვარდიის შტაბი ითავსებდა. „დამფუძნებელი კრება – ხალხის ცხოვრების მომგვარებელი და მთავრობა“ – დამფუძნებელი საკრებულოს აღმასრულებელი გულგრილი მოწმეებით შეჰყურებდნენ სახალხო გვარდიის შტაბის თვითნებობას“ [10, 168-169].

და მაინც რა გაკეთდა ზოგადად სამართლებრივი კუთხით? ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ 1917 წლის 24 ნოემბრის დეკრეტით „სასამართლოების შესახებ“ თვით რუსეთში გაუქმდა მოსამართლე-გამომძიებლის ინსტიტუტი და მათ ნაცვლად შეიქმნა დროებითი საგამომძიებო კომისიები; ეროვნული საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის გამო, საქართველოს სინამდვილეში მეტნაკლები კოსმეტიკური ცვლილებებით კვლავ გამოიყენებოდა მეფის რუსეთის და დროებითი მთავრობის დროინდელი სისხლის სამართლის მატერიალური და

საპროცესო კანონმდებლობა. აღნიშნულს ადასტურებს თუნდაც საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივნისის კანონი „სიკვდილით დასჯისა და ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებისათვის“. ასევე, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის დროებითი კანონი „მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოების შესახებ“, რომლებმაც ცვლილებები შეიტანა მეფის რუსეთის და დროებითი მთავრობის კანონებში, მაგრამ არ გაუუქმებია ისინი. თუმცა, სიახლე ის იყო, რომ გამოძიებული ისევე, როგორც სასამართლო პალატის და სენატის პროკურორები და მათი ამხანაგები (მოადგილეები/თანამშემწეები) ინიშნებოდა მთავრობის მიერ.

რაც აშეხება გამოძიებას, იგი ტარდებოდა „სასამართლო დაწესებულებათა დებულებისა“ და „სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წარმოების წესების“ შესაბამისად საერთო საფუძველზე [11, 68].

და მაინც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს კონსტიტუციის მიღება, რომლის მე-19 მუხლი სიკვდილით დასჯას აუქმებდა. ეს გამორჩეული პრეცედენტი იყო რადგან 1921 წლისათვის იგივე მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას ჰქონდა გაკეთებული, მათ შორის – კოლუმბიას, კოსტარიკას, ეკვადორს, სანმარინოს, ურუგვაისა და ვენესუელას [12, 251].

# პირველი თავი

## საკანონმდებლო ორგანო

### §1. ეროვნული საბჭო

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები კონსოლიდაციის აუცილებლობამდე მივიდნენ. მათ მომავალი საზოგადოების პროგრამაც გამოაქვეყნეს, მაგრამ თავდაპირველად ამ წამოწყებას წარმატება არ მოჰყოლია.

ამავე წლის ზაფხულიდან რუსეთში გამოჩნდა ნითელი ბაფთები, რომელიც მკერდზე ჰქონდათ მალალი, ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. თუმცა ეს ნიშანი ყოველთვის როდი ადასტურებდა მათ რევოლუციურობას. ზოგიერთ ინტელიგენტს მიაჩნდა, რომ მკერდზე მიმაგრებული ნითელი ბაფთის გარეშე ქუჩაში გასვლა საშიში იყო. საშუალო ფენა მართალია უარყოფითად შეხვდა რევოლუციას, მაგრამ ჩქარობდნენ დაედასტურებინათ რევოლუციისათვის ერთგულება ბაბთით და ყველას გასაგონად ეწოდებინათ ჩამოგდებული მეფისათვის „ნიკოლაშკა“, ხოლო დედოფლისათვის „საშკა“ [13, 99].

საქართველოში გაზეთმა „სახალხო საქმემ“ პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ისეთი პოლიტიკური ორგანოს შექმნის აუცილებლობა შეახსენა, რომელიც ურთიერთპატივისცემასა და კონსენსუსს დაეფუძნებოდა, ხოლო მეორე მხრივ, ქართველთა საერთო ეროვნულ მოძრაობას უხელმძღვანელებდა. ეს საკითხი გაზეთმა „საქართველომაც“ წამოსწია და ეროვნული ბიუროს შექმნის აუცილებლობას მისცა უპირატესობა.

საქართველოს წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა 1917 წლის 12 აგვისტოს მიიღეს დადგენილება „ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს“ შექმნის შესახებ. საინფორმაციო ბიურო იყო ინტერპარტიული ხასიათის გაერთიანება, რომელიც კოორდინაციას უწევდა ქართულ პოლიტიკურ ძალებს და ამავდროულად წარმოადგენდა საკანონმდებლო ორგანოს ჩანასახს. მასში შევიდნენ სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების წარმომადგენლები. ბოლშევიკებმა უარი განაცხადეს ბიუროში გაერთიანებაზე. მოკლე პერიოდის მანძილზე ინტერპარტიულ ბიუროს სახელი რამდენჯერმე შეეცვალა. მას საბოლოოდ უწოდეს „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“. ჩამოყალიბდა სექციები: საფინანსო, სამხედრო, საშინაო, საგარეო და ა.შ, რომლებსაც სათავეში კომიტეტის წევრები ჩაუდგინენ [14, 146].

1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა რუსეთში გადატრიალება მოაწყვეს და ძალაუფლებას დაეპატრონენ. დროებითი მთავრობა დამხოხილ იქნა. ცხადია, უფლებამოსილება დაკარგა მისმა რწმუნებულმა განსაკუთრებულმა კომიტეტმაც. პეტროგრადის ახალ რეჟიმს სათავეში ლენინი ჩაუდგა, რომელსაც განზრახული ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში თავისი ხელისუფლების გავრცელება, თუმცა ეს ერთბაშად ვერ შეძლო შინა გართულების, სამოქალაქო ომისა და უცხოური ინტერვენციის გამო. ამასობაში კი აქაურმა პოლიტიკურმა ძალებმა სამხედრო ხელისუფლება ჩამოაყალიბეს ამიერკავკასიის კომისარიატის სახით (1917წ. 15 ნოემბერი) [15, 303].

რუსეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და ქართველი ერის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემების მოგვარება ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს კომპეტენციას აღემატებოდა. შექმნილი ვითარება ეროვნული ყრილობის ან მის მიერ არჩეული

სამართლებრივად უფლებამოსილი ორგანოს შექმნას და ფუნქციონირებას მოითხოვდა. „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს“ 1917 წლის 23 სექტემბრის სხდომამ განიხილა გრ. რცხილაძის მიერ შემუშავებული რეგლამენტი ეროვნული კრების მოწვევის შესახებ. 3 ნოემბრის სხდომაზე მიღებული დადგენილებით გადანყდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა.

საქართველოს ეროვნული ყრილობა 1917 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა სახაზინო თეატრში და 22 ნოემბრამდე გასტანა. მას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი და 19 სათათბირო ხმით. საქართველოს პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილნი იყვნენ 67 დელეგატი. საინტერესოა, რომ ყრილობაზე პირველად წარმოადგინეს ეროვნული დროშა.

ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკაში უპირველესად სახელმწიფო დროშა მოიაზრება. ტერმინი „დროშა“ ძველ ირანულ (ავესტურ) ენაზე „სინათლეს“, „ნათელს“, „თვალსაჩინოს“ ნიშნავდა. მისი სინონიმებია ასევე ქართულ ენაში დამკვიდრებული არაბული წარმომავლობის ტერმინი „ლაამი“ და თურქულენოვანი „ბაირაღი“.

დროშა წარმოადგენს ერთიან სხვადასხვა ფერის მქონე განსაზღვრული ფერის ქსოვილის ნაჭერს, რომლის ცალი მხარე ხის ტარზეა დამაგრებული. მასზე ტრადიციულად გამოსახავდნენ რაიმე ემბლემას – სახელმწიფოს, ჯარის, კორპორაციის ან საკულტო სიმბოლოს [16, 44].

ყრილობის გახსნის დღეს, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი სამფეროვანი (შავი, თეთრი, შინდისფერი) დროშა აფრიალდა. ქართული დროშა გერმანიის იმპერიის სახელმწიფოს დროშის მსგავსი იყო (იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს სამივე ფერი ბოლომდე გასდევდა). ყრილობის მონაწილეებს მკერდს სწორედ ასეთი ფერის ბაბთები უმშვენებდა. ეს დროშა, გარკვეუ-

ლი თვეების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად იქცა [14, 47].

ყრილობაზე არჩეულ იქნა ეროვნული საბჭო, რომლის პირველი სხდომა 21 დეკემბერს გაიმართა. ამავე დღეს აირჩიეს 15 წევრის-აგან შემდგარი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავა ეროვნული საბჭოს სტრუქტურა და შექმნა 6 კაციანი პრეზიდიუმი, რომელიც ერთ-დროულად, როგორც აღმასკომის, ისე საბჭოს პრეზიდიუმს წარმოადგენდა. პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გახდა. მას ჰყავდა სამი ამხანაგი (მოადგილე): აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ რცხილაძე და გრიგოლ ვეშაპელი. მდივნად არჩეული იყო პავლე საყვარელიძე, ხოლო ხაზინადარის მოვალეობას კონსტანტინე მესხი ასრულებდა.

ჩამოყალიბდა ეროვნული საბჭოს რამდენიმე კომისია. კერძოდ: ქონების, სამხედრო, საფინანსო, სასამართლო და ადმინისტრაციული, სასკოლო და ხელოვნების, სახალხო მეურნეობისა და სურსათის, სამაჰმადიანო საქართველოს გამგებლობის და საერობო. ამ კომისიებს მოგვიანებით საბჭოს სექციები ეწოდათ. მათი რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა და საბოლოოდ ოცს მიაღწია. მათგან ზოგი დროებითი ხასიათისა იყო (მაგალითად, საზავო, დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია და სხვ.) [15, 300-301].

ეროვნული საბჭოს სექციებში აქტიურად თანამშრომლობდნენ: ახალგაზრდა მეცნიერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი პავლე ინგოროყვა, ცნობილი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს ეროვნულ საბჭოს უაღრესად რთულ და დინამიურ დროში მოუხდა მოღვაწეობა.



ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საბჭო 1918 წლის 26 მაისამდე არ ყოფილა ოფიციალური ორგანო. თებერვლის რევოლუციის შემდგომ ხელისუფლება მთელ ამიერკავკასიაში დროებითი მთავრობის მიერ შექმნილ „ოზაკომ“-ს ებარა.

1918 წლის 6 იანვარს პროლეტარიატის დიქტატურის სახელით გარეკეს თავრიდის სასახლეში შეკრებილი დამფუძნებელი კრება. ამით წერტილი დაესვა რუსეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისაგან საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის ბოძების ამოლოდინს. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის კომისარიატმა საჭიროდ ჩათვალა, გადაეცა ხელისუფლება ახალი, უფრო წარმომადგენლობითი ორგანოსათვის. ეს ორგანო რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან შეიქმნა 1918 წლის 10 თებერვალს და მას ამიერკავკასიის სეიმი ეწოდა.

სწორედ, ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის ფუნქციონირების პარალელურად არსებობდა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც თანდათან საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებად ყალიბდებოდა [15, 303-304]. მაგრამ ეროვნული საბჭო არ შექმნილა საყოველთაო არჩევნების გზით. იგი უპირატესად პირველ ეროვნულ ყრილობაზე წარგზავნილმა პოლიტიკური პარტიების დელეგატებმა შეაგინეს. საბჭო პირველ ხანებში (1917 წ. 21 ნოემბერი – 1918 წ. 26 მაისი) არც ოფიციალური დაწესებულება ყოფილა, მაგრამ მის მესვეურებს ეროვნული საბჭო იმთავითვე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ჰქონდათ ჩაფიქრებული. უკვე 1918 წლის დამდეგს დღის წესრიგში დადგა საბჭოს რეორგანიზაციის საკითხი.

ეროვნული საბჭოს აღმასკომის პროექტით საბჭოს შემადგენლობას ამიერკავკასიის სეიმის ქართველი დეპუტატები უნდა დამატებოდნენ. ნაგარაუდები იყო აგრეთვე საბჭოს წევრთა რიცხვის გაზრდა პარტიების წარმომადგენელთა პროპორციული სისტემით [15, 314].

1918 წლის 11 თებერვალს განხორციელდა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მისი წევრების რაოდენობა 88-მდე გაიზარდა. შექმნის დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეროვნულმა საბჭომ 19 სხდომა ჩაატარა და ფაქტობრივად, საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა. იგი იყო ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო. მის სხდომაზე განიხილებოდა ქვეყნის რეალობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

1918 წლის 26 მაისს, კვირა დღეს, 16 საათსა და 50 წუთზე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე გაიმართა ეროვნული საბჭოს XIX სხდომა. სხდომის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელიც საბჭომ ერთხმად დაამტკიცა. საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ. საბჭომ დაამტკიცა საქართველოს კოალიციური მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც 24 ივნისს შეცვალა ნ. ჟორდანიამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით ეროვნული საბჭო მიჩნეულ იქნა საკანონმდებლო ორგანოდ, რომელსაც შემდეგ მთელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისათვის უნდა გადაეცა [14, 148-149].

მაგრამ „სიურპრიზები“ მაინც არ გვმორდებოდა. ნოე ჟორდანიამ, როგორც კი ხელისუფლება ჩაიბარა, მთავრობის სასახლიდან ჩამოახსნევინა ეროვნული დროშა და რევოლუციის წითელი დროშა ააფრიალებინა. ეს ვალიკო ჯუღელის საგანგებო მოთხოვნა იყო. ერთი წლის მანძილზე ეს დროშა აღლევებდა ქართველობას და უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენდა უცხო ქვეყნების წარმომადგენლებზე. ბევრი ამას ბოლშევიკობის ნიშნად მიიჩნევდა. მაგალითად, თბილისში მყოფმა ამერიკელმა პროფესორმა, რო-

მელსაც უნდა გაერკვია შეიძლებოდა თუ არა ჩვენი აღიარება, როგორც კი წითელი დროშები დაინახა შესაბამისი შენიშვნა გაგზავნა შეერთებულ შტატებში [8, 25]. ეს პროფესორი იყო ცნობილი მეცნიერი როსი, რომელიც თავისივე სურვილით ესწრებოდა 1917 წლის 3 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველ საერთო კრებას [17, 13].

1918 წლის 29 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე მისი წევრების რაოდენობა 121 კაცით განისაზღვრა. გაუქმდა აღმასრულებელი კომიტეტი და შეიქმნა პრეზიდიუმი 5 წევრის შემადგენლობით.

ცხარე კამათი და პაექრობა მოჰყვა ეროვნული საბჭოს სამომავლო სახელის შერჩევასაც. პირველად ეს საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინა დღით, 1918 წლის 25 მაისს გამართულ სხდომაზე დაისვა. ირაკლი წერეთელი წინადადებას აყენებდა, ეროვნული საბჭოსთვის „საქართველოს პარლამენტი ეწოდებინათ. ნ. ჟორდანიას უპირატესობას „ნაციონალურ საბჭოს“, ხოლო ნ. რამიშვილი „ეროვნულ კრებას“ ანიჭებდა. ვ. გობეჩია „დეპუტატთა სასახლეს“ მოითხოვდა, გ. გვაზავა კი „სათათბიროს ამჯობინებდა. ეროვნულ დემოკრატი რევავზ გაბაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ „ისტორიული მოსაზრებით, მე ჯერ „პარტიაში“ გავატარე და მერე მოვითხოვეთ დაგვერქმია – „დარბაზი“, მაგრამ მენშევიკებმა არა ჰქენეს: **„საქართველოს პარლამენტი“**–ო და მათი სახელით ალექსანდრე ლომთათიძე „არღვევდა“ ჩვენს მოსაზრებათ და ასაბუთებდა თავიანთას“ [18, 217].

1918 წლის 4 ოქტომბერს ეროვნული საბჭოს სხდომაზე დავაახალი ძალით განახლდა. საკონსტიტუციო კომისიამ ეროვნული საბჭოს სახელწოდებად „რესპუბლიკის დარბაზი“ შეარჩია. თა-

ვიანთი შეჯერებული შეხედულებები გამოთქვეს პოლიტიკურმა ფრაქციებმაც. სოციალდემოკრატთა იდეა იყო „საქართველოს პარლამენტი“, ესერთა წინადადება – „საქართველოს სახალხო საბჭო“, ხოლო ფედერალისტებისა – „რესპუბლიკის საბჭო“. ეს უკანასკნელი მოსაზრება ეროვნულ-დემოკრატებსაც მისაღებად მიაჩნდათ. მის დასაცავად სიტყვა წარმოთქვა ექვთიმე თაყაიშვილმაც, რომელიც ასაბუთებდა: „თუ საქართველოს სახელმწიფო გსურთ აღადგინოთ და განამტკიცოთ, თავი უნდა ანებოთ უცხო სიტყვების სესხებას და ის სახელი მიიღოთ, რომელიც ქართულიც არის და ამავე ბუნებას გამოხატავს“, თუმცა საბჭოს სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობის გადარწმუნება ვერც მან შეძლო. კენჭისყრისას გაიმარჯვა მენშევიკთა თვალსაზრისმა (40 მომხრე) და ეროვნულ საბჭოს „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა [15, 315]. სახელის შეცვლა დაამტკიცა 8 ოქტომბერს მიღებულმა კანონმა. ცოტა მოგვიანებით თვით ნოე ჟორდანიას აღიარებდა: „იმით, რომ ჩვენს ნაციონალურ საბჭოს პარლამენტი დავარქვით, მართლა პარლამენტი არ გამხდარა, და თვით ეს სახელი მას ისე შეეფერება, როგორც ძროხას უნაგირი. ის ასრებითად დარჩა ნაციონალურ საბჭოდ“ [15, 316].

აქვე უნდა ითქვას, რომ ეროვნულმა საბჭომ და შემდგომში პარლამენტმა ფუნქციონირების მანძილზე არაერთი კანონი შეიმუშავა და მიიღო, რომლებიც საქართველოს ეროვნული, სოციალური და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას ემსახურებოდა. ეროვნული საბჭოს სახელთან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ხოლო პარლამენტთან – ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს კანონშემოქმედების საწყისი ეტაპია დაკავშირებული. ერთმაც და მეორემაც ქვეყნის შემდგომი ბედის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ არც საბჭო და არც პარლამენტი ყო-

ფილა შექმნილი სახალხო არჩევნების გზით. 1917 წლის ნოემბერში დაარსებული საქართველოს ეროვნული საბჭო პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების საფუძველზე ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იგი დამატებითი წევრებით, მათ შორის სამაჰმადიანო საქართველოს, ზაქათალის, ასევე ეროვნულ უმცირესობათა წარგზავნილებით შეივსო და საქართველოს პარლამენტად გარდაიქმნა. მართალია, ხსენებული ორგანო აერთიანებდა ქვეყნის ყველა გავლენიან პოლიტიკურ ძალას, – ე.ი ასახავდა საქართველოს ძირითად პოლიტიკურ სპექტრს, იყო პოლიტიკური შემადგენლობის და, ამასთან, მმართველობის სადავეებში მოცილვეც არავინ ჰყოლია. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული თვალსაზრისით მას ლეგიტიმაცია აკლდა [9, 207].

საყურადღებოა, რომ 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მეშვიდე მუხლში აღინიშნა: „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართველადგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო“. ამრიგად, ეროვნული საბჭოცა და საქართველოს პარლამენტიც მიჩნეული იყო დროებით სტრუქტურებად, რომელთაც უახლოეს მომავალში ადგილი უნდა დაეთმოთ სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრებისათვის [9, 208].

## § 2. დამფუძნებელი კრება

საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ მოვლენას წარმოადგენდა პირველი დემოკრატიული არჩევნები, რომელმაც თვალნათლივ აჩვენა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე. ცნობილია, რომ სუვერენული საქართველოს მესვეურები ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობას მხოლოდ დემოკრატიულ ნიადაგზე გაიაზრებდნენ. დემოკრატიულ პრინციპებს, მათ შორის სახელმწიფოს მოწყობა-განვითარების სფეროში ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა იმჟამინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა. რადგან სახელმწიფოს დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ერთი უმთავრესი პირობა ხელისუფლების არჩევითობაა, დღის წესრიგში იმთავითვე დადგა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. ანუ, საერთოსახალხო ნებით უნდა შექმნილიყო ისეთი წარმომადგენლობითი საკრებულო, რომელიც შეძლებდა სრულად გამოეხატა ქვეყნის არა მხოლოდ სატიტულო ერის – ქართველობის, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება და სასიცოცხლო ინტერესები. ამგავრ ინსტიტუციად მიჩნეული იქნა დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრების იდეა რომანოვთა იმპერიაში აქტიური იყო 1905-1907 წლების სახალხო რევოლუციის წლებში. უფრო მეტად პოლულარული გახდა და პრაქტიკულადაც მომნიფდა იგი თვითმპყრობლობის დამხობის პერიოდში. 1917 წლის შემოდგომაზე ჩატარდა არჩევნებიც, მაგრამ ხელისუფლებას დაპატრონებულმა ბოლშევიკებმა რუსეთში არ დაუშვეს დამფუძნებელი კრების მუშაობა და იგი შეკრებისთანავე გარეკეს [9, 207-208].

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, დამფუძნებელ კრებას ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოს იერსახის განსაზღვრა, სახელ-

მნიფობრივი ნესნყობილების სამართლებრივ საფუძველზე დამკვიდრება, ქვეყნის ძირითადი კანონის – კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება ევალეობდა. კრება განახლებული საქართველოს პოლიტიკური მესაძირკველ უნდა გამხდარიყო. დამფუძნებელი კრების დებულების შემუშავებას თითქმის ნახევარი წელი დასჭირდა. ყოველ მუხლს გულდასმით და საფუძვლიანად განიხილავდნენ. ცხარე პაექრობა იყო კრების წევრთა რაოდენობის განსაზღვრის, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების, ამომრჩეველთა ასაკის დადგენის, ჯარისკაცების, პოლიციისა თუ ადმინისტრაციის მოხელეთათვის ხმის მიცემაარმიცემის შესახებ და სხვ. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები პროპორციული სისტემით გაიმართებოდა. დამფუძნებელ კრებაში აირჩევდნენ 130 დეპუტატს, ხოლო საარჩევნო ხმის უფლებით ისარგებლებდნენ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდებოდათ 20 წელი [9, 209].

დამფუძნებელი კრების არჩევნები იმდენად დემოკრატიული იყო, რომ მასში მონაწილეობის უფლება არ შეუზღუდავთ ბოლშევიკებისთვისაც, რომლებიც არ სცნობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და გამალებით მის დამხობას ესწრაფოდნენ. თუმცა მათ ამაზე უარი პრინციპული მოსაზრებით განაცხადეს, გადაჭრით დაუპირისპირდნენ დამფუძნებელ კრებას და კრემლის მითითებათა შესაბამისად, ბოიკოტის ტაქტიკას მიმართეს [9, 214].

1918 წლის 22 ნოემბერს პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით არჩევნების ჩატარებას. არჩევნების დღედ 14 თებერვალი დაინიშნა. დამფუძნებელი კრების მოწვევასთან დაკავშირებით საქართველოს

პარლამენტმა 1919 წლის 31 იანვარს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც პარლამენტი დათხოვნილად ითვლებოდა დამფუძნებელი კრების მუშაობის დანყების დღიდან [14, 149].

არჩევნების თებერვალში გამართვა საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩა. 1919 წლის იანვარში პარიზში იხსნებოდა სამშვიდობო კონფერენცია, რომლის მუშაობაში საქართველოს დელეგაციას აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი საყოველთაო არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლების წარმომადგენელთა გამგზავრება იყო [19, 14].

არჩევნებში თითქმის 700 ათასი რეგისტრირებული ამომრჩეულიდან ხმა მისცა 524 ათასმა. აქედან, 408 ათასმა – სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც ქალაქის მოსახლეობის 72%-ისა და სოფლის მოსახლეობის 82%-ის ხმები მოაგროვეს. არჩევნებმა დამაჯერებელი წარმატება მოუტანა აღნიშნულ პარტიას. 130 მანდატიდან მათ 109 მანდატი მიიღეს. დანარჩენი 21 ადგილი სამმა პოლიტიკურმა პარტიამ გაინაწილა. ეროვნულ-დემოკრატებმა და ფედერალისტებმა რვა-რვა დეპუტატი გაიყვანეს, ხუთი ადგილი სოციალ-ისტ-რევოლუციონერებს ერგო [15, 337]. პროპორციული წარმომადგენლობითობა რომ არა, საქართველოს დამფუძნებელი კრების სხვა პოლიტიკურ ძალთა ოდენობა ერთს ან ორს ვერც ასცდებოდა, რადგან საქართველოში თითოეული ადგილი ძლივს მოიძებნებოდა, სადაც სოციალდემოკრატებს ხმათა უმრავლესობა არ ჰქონდათ მიღებული [20, 233].

დამფუძნებელ კრების წევრთა შორის, ქართველთა გარდა იყვნენ სომხები, თათრები, ბერძნები, რუსები, ებრაელები, ოსები და აფხაზები (ყველა სოციალდემოკრატიული პარტიისაგან). ეროვნული საკრებულოს დეპუტატები გახდნენ ქართველი ინ-



ტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: შალვა ნუცუბიძე, შალვა ალექსიმესხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი, ლეო შენგელაია, გრიგოლ ნათაძე და სხვ. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წევრთაგან 5 ქალი იყო: ელისაბედ ბოლქვაძე, ელენორა ტერფარსუგოვამახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე და ქრისტინე შარაშიძე (ყველა სოციალდემოკრატი). მეხუთე ქალბატონი ამავე პარტიიდან – ანნა (ოლლა) სოლოლაშვილი (საკანდიდატო სიაში 110ე ნომერი) – დეპუტატი გახდა ნ. კაციაშვილის გარდაცვალების შემდგომ, როგორც ადგილმონაცვლე [9, 227].

საქართველოს დამფუძნებელი კრება მუშაობას შეუდგა 1919 წლის გაზაფხულზე. პირველი სხდომა 12 მარტს გაიმართა. ყოფილი მეფისნაცვლის სასახლე, სადაც დამფუძნებელმა კრებამ დაიდო ბინა საგანგებოდ გადააკეთეს. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა ეს დღე ნამდვილ საზეიმო ვითარებაში ჩატარებულიყო. იმდროინდელმა პრესამ ვრცლად შემოგვინახა სათანადო მასალები. კრების გახსნა კინოფირზე აღბეჭდა რეჟისორმა გერმანე გოგიტიძემ. გაზეთის კორესპონდენტი ასე აგვიწერს ამ ისტორიულ მოვლენას: „მარტის თორმეტს მზიანი დღე დადგა. თუმცა ცოტა ქროდა, მაგრამ დარი ნამდვილი გაზაფხულისა იყო. და სწორედ რომ ეს მეორე გაზაფხულია საქართველოსათვის, როგორც ბუნებისა, ისე პოლიტიკური. ამ დღეს გაიხსნა სრულიად საქართველოს პირველი დამფუძნებელი კრება... სასახლესთან ტევა აღარაა. ქუჩის ორივე მხარეს სავსეა ხალხი. ნემსი ვერ ჩავარდებო რომ იტყვიან, სწორედ ისეა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია.“ „...სასახლის თეთრი დარბაზის შუაში სხედან სოციალდემოკრატები, მარცხნივ სოციალისტფედერალისტები და ესერები, მარჯვნივ ეროვნულდემოკრატები. სავსეა პრესის წარმომადგენელთა ლოჟა. აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა – ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, შვეიცარიის, ესპანეთის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩეხოსლოვაკიის, სომხეთის, ლიტვის,

უკრაინის და სხვ. წარმომადგენლები. თორმეტ საათსა და ხუთ წუთზე სხდომას ხსნის უხუცესი დეპუტატი სილიბისტრო ჯიბლაძე, მდივნობს ყველაზე ახალგაზრდა გოგიტა ფალავა“.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, თავმჯდომარის უფროს ამხანაგად – ალექსანდრე ლომთათიძე (ორივე სოციალ-დემოკრატი) და სიმონ მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტი). მდივნებად – გრიგოლ (გიგო) ნათაძე (სოციალისტ-რევოლუციონერი) და ქრისტინე შარაშიძე (სოციალ-დემოკრატი).

სხდომის დასასრულს წაიკითხეს 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც პირველ რიგში ხელი მოაწერეს მთავრობის წევრებმა, შემდეგ კრების დეპუტატებმა.

კოალიციური პრინციპით შექმნილი მთავრობა შეიცვალა და იგი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად დაკომპლექტდა გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისაგან. კრება კი უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებად ჩამოყალიბდა. მათგან დამოუკიდებლად ქვეყანაში ფუნქციონირებდა სასამართლო ხელისუფლება [15, 339-340]. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ქართული ერთადერთ ენად გამოაცხადა, რომელზეც მის წევრებს შეეძლოთ გამოსვლა. ამას ის მოჰყვა, რომ სომეხ დეპუტატებს არც ქართველი კოლეგების გამოსვლები ესმოდათ და ველარც თავად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს. ერთადერთი ენა, რომელიც ყველას ესმოდა – რუსული – კანონგარეშედ გამოცხადდა [20, 247].

1919 წლის აპრილში მოხდა კომისიების პრეზიდენტების არჩევა, დაარსდა ახალი მცირე კომისიები, რომელთა მიზანი იყო ცენტრალური დაწესებულებების რევიზია. სულ დამფუძნებელ კრებაში ფუნქციონირებდა 5 მუდმივი და 18 დროებითი კომისია.

თავის მოღვაწეობის მანძილზე 100-ზე მეტი კანონი იქნა მიღებული. კრების მთავრი ამოცანა კონსტიტუციის შექმნა იყო, რომელიც რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უკანასკნელ დღეებში, 1921 წელს იქნა დასრულებული. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავისი ორწლიანი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცხოვრებაში. მდიდარი და ნაყოფიერი საქმიანობით მან შექმნა საყურადღებო გამოცდილება, რომელიც დღემდე ინარჩუნებს არა მხოლოდ შემეცნებით ღირებულებას, არამედ პრაქტიკულ დანიშნულებასაც.

# მეორე თავი

## სასამართლო ხელისუფლება

### §1. სასამართლოს რეორგანიზაცია

ელემენტარული ქეშმარიტებაა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შედგება სამი კომპონენტისაგან: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი მართლმსაჯულებაა, რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც ინდივიდუალურ უფლებებს, ისე კოლექტიურ მიზნებს, რომელსაც იდეალური კანონმდებელი აღიარებდა, რათა მოქალაქეებს თანაბარი ზრუნვითა და პატივისცემით მოპყრობოდა. „სამართალი“ იმ პროცედურებს გულისხმობს, რომლებიც ყველა მოქალაქეს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში დაახლოებით იმავე გავლენის ძალას ანიჭებს. „პროცედურულად ჯეროვანი პროცესი“ სწორ პროცედურებს უკავშირდება იმის დასადგენად, დაარღვია თუ არა მოქალაქემ სამართალი [6, 68].

შუა საუკუნეების ქართული სამართლებრივი მდიდარი კულტურის შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ, საოცარი პრეცედენტი შექმნეს გურულებმა ე.წ. „გურიის რესპუბლიკის“ პერიოდში (1902-1906წწ.) სოფლის თავყრილობისა და გლეხთა სასამართლოების სახით. სოფლის ყრილობები ხანდახან სასამართლოების სახეს იღებდა და უზენაეს ხელისუფლებას წარმოადგენდა. ხმის მიცემის უფლება თავიდანვე ვრცელდებოდა ქალებზეც. ალექსანდრა კოლონტაი, შემდგომში ცნობილი დიპლომატი, წერდა: „გურული გლეხი ქალები სოფლის თავყრილობებზე ქუთაისის გუბერნიამი რეზოლუციებს იღებდნენ, რომლებშიც მამაკაცებთან პოლიტიკურ თანასწორობას მოითხოვდნენ“. უცხოელ ჟურნალისტზე, ლ უ ი ჯ

ი ვ ი ლ ა რ ზ ე, რომელმაც გურია სწორედ იმხანად ინახულა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სახალხო სასამართლოებმა. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ჯერ არ იყო გაუქმებული, გურიაში იგი ერთხელაც არ ამოქმედებულა. დასჯის ყველაზე მიღებული ფორმა ბოიკოტი იყო – ბრალდებული პირის მოკვეთა სოფლის ცხოვრებიდან. სახალხო სასამართლოები თავისუფალი იყო მეფის რუსეთისათვის დამახასიათებელი კორუფციისა და სისასტიკისაგან. ამიტომ სასამართლო უზომოდ პოპულარული გახდა და ძალიან მალე ადგილობრივმა მოსახლეობამ მთლიანად შეწყვიტა რუსული სასამართლოებისათვის მიმართვა – ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც რუსეთის სისხლის სამართლებრივი სისტემა სრულიად მორყეული იყო, რადგან დასუსტებული პოლიცია დაპატიმრებას ვეღარ ახერხებდა.

გლეხების მიერ შექმნილი ინსტიტუცია, „ნაროდნი სუდ“ – სახალხო სასამართლოს სახელით იყო ცნობილი. ეფექტური საპოლიციო ძალის თუ სისხლის სამართლის სასამართლოების უქონლობის მიუხედავად, „ძარცვამ და ყაჩაღობამ ძალზე იკლო რეგიონში“, ნერდა ვილარი. ამგვარი დანაშაულებები მანამდე ფართოდ იყო გავრცელებული, ხოლო მეფის ჟანდარმერია და სასამართლოები სამართლის აღსრულებას ვერ უზრუნველყოფდა. რადგან „ყაჩაღობამ და ძარცვამ“ იკლო, სასამართლოები სულ უფრო და უფრო მეტად ერეოდნენ „ადგილობრივ მკვიდრთა პირად ცხოვრებისა და მორალის“ გარჩევაში.

ვილარი ამ სასამართლოების რამდენიმე განჩინების თვალსაჩინოებას წარმოგვიდგენს, ისეთებს, რომლებმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქედან, რამდენიმე ცოლქმრულ ღალატს შეეხებოდა. ცოლქმრულ ღალატზე ასეთი კონცენტრირება, მისი თვალსაზრისით, გლეხების რეაქცია იყო რუსების „აღვირახსნილ ყოფაქცევაზე“. „ყოველი მამაკაცი, რომელიც ცოლქმრულ

ლალატს სჩადის ან საყვარელთან ერთად ცხოვრობს“, წერდა ვილარი, „პასუხისგებაში ეძლევა და ისჯება“. მაგალითისთვის მოაქვს შემდეგი: „შორაპნის მაზრის გლეხმა ადგილობრივ ქალთან ცოლ-ქმრული ლალატი ჩაიდინა და ის და მისი ტრფობის საგანი სახალხო სასამართლოში გამოიძახეს სამსჯავროზე. მათ თავიანთი ბრალი აღიარეს და სოფელში ჯორზე შიშვლად ამხედრებით გავლა მიესაჯათ. ამ მსვლელობის დროს მათ ერთად შეკრებილი თანასოფლელების წინაშე აღიარეს ცოდვა. მოინანიეს და ფიცი დადეს, რომ მომავალში სათნო ცხოვრებით იცხოვრებდნენ“ [12, 51-52].

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ „სასამართლოების შესახებ“ №1 დეკრეტის თანახმად (1917 წლის 24 ნოემბერი) გაუქმდა მეფის რუსეთში არსებული სასამართლო სისტემა და ჩამოყალიბდა ადგილობრივი სასამართლოები, რომლებიც განიხილავდნენ საქმეებს ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით. ამ სასამართლოებს განსახილველად ექვემდებარებოდა სისხლის სამართლის საქმეები, თუ სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით და სამოქალაქო სამართლის საქმეები, როდესაც სარჩელი არ აღემატებოდა 3000 მანეთს. მოსამართლეები და მსაჯულები ირჩეოდნენ ადგილობრივი საბჭოების მიერ.

1918 წლის 7 მარტს გამოიცა „სასამართლოების შესახებ“ დეკრეტი №2, რომლის თანახმადაც სასამართლოების დასახელება შეიცვალა და მათ ადგილობრივი სახალხო სასამართლოები ეწოდათ. იმ საქმეთა განსახილველად, რომლებიც აღემატებოდნენ ადგილობრივი სახალხო სასამართლოების კომპეტენციას, შეიქმნა საოლქო სახალხო სასამართლოები. ამ დროისათვის სასამართლოებს ნება დაერთოთ საქმეთა განხილვის დროს, ეხელმძღვანელათ მეფის რუსეთის კანონმდებლობით, თუ ისინი დეკრეტის საფუძველზე არ იყო გაუქმებული და არ ეწინააღმდეგებოდა მშრომელთა

მართლშეგნებას. ასეთი წესის შემოღება გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა სამართალწარმოების განხორციელების ძირითად საკითხებზე.

1918 წლის 20 ივლისს მიღებულ იქნა „სასამართლოების შესახებ“ დეკრეტი №3, რომელმაც გააფართოვა ადგილობრივი სახალხო სასამართლოების კომპეტენცია და მათ შეეძლოთ სისხლის სამართლის ყველა საქმე განეხილათ. გარდა ისეთი საქმეებისა, რომლებიც პიროვნების სიცოცხლის ხელყოფას, გაუპატიურებას, ბანდიტიზმს, ყაჩაღობას, ფულადი ნიშნების გაყალბებას, მექრთამობას, სპეკულაციას ეხებოდა. ამ საქმეთა კატეგორია განსახილველად ექვემდებარებოდა საოლქო სასამართლოს. ადგილობრივ სახალხო სასამართლოებს შეეძლოთ ასევე განეხილათ სამოქალაქო სამართლის საქმეები, თუ სამოქალაქო სარჩელი ათი ათას მანეთს არ აღემატებოდა. საოლქო სასამართლოში საქმეთა განხილვა წარმოებდა ერთი მოსამართლისა და ექვსი სახალხო მსაჯულის მონაწილეობით. დეკრეტით დაშვებულ იქნა საკასაციო წესით საქმეთა გასაჩივრება ადგილობრივ სახალხო მოსამართლეთა საბჭოში [21, 31-32].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ევროპული, დემოკრატიული სასამართლოს მშენებლობის პროცესის დაჩქარება. მთავარი ამოცანა იყო სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა და მისი გამიჯვნა მართვის აღმასრულებელი ორგანოებისაგან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსამართლეთა არჩევითობას, ვეჭილთა ინსტიტუტის დანერგვას, სასამართლო პროცესის საჯაროობის პრინციპების უზრუნველყოფას.

ეს ამოცანა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. პირველ რიგში, ეს იყო კადრების მწვავე ნაკლებობა – იურიდიული

განათლების მქონე პირები საქართველოში ძირითადად არაქართველი, უფრო კი, რუსი ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ობსტრუქციის გამო, ნაკლებად მონაწილეობდნენ საქართველოს ახალი სასამართლო სისტემის მშენებლობის პროცესში [22, 29].

დამფუძნებელი კრების გადანყვეტილების თანახმად, ქართული ენის სტატუსმა სასამართლო დარბაზებში გადაინაცვლა, სადაც საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე იყო ნაბრძანები. ამ განკარგულებამ თბილისის ყველა რუსი და სომეხი იურისტი უმუშევარი დატოვა [20, 247].

ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა მიუკერძოებელი სასამართლოს (თანამედროვე ტერმინოლოგიით – „სამართლიანი სასამართლოს“) როლს სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში. კონსტიტუციიდან გამომდინარე არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელ და არც ადმინისტრაციულ სტრუქტურებს უფლება არ ჰქონდათ გაეუქმებინათ, შეეცვალათ ან შეეჩერებინათ სასამართლოს განაჩენი [9,112].

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე აფრთხილებდა მმართველი პარტიის დეპუტატებს, თუ სასამართლოს წარმოებაში გაერევით, ამით ქვეყანაში სამართალს მოჰკლავთო: „ასეთ შემთხვევაში „საქართველოს სასამართლოს დაარქმევენ სოციალდემოკრატიულ სასამართლოს, და არა ქვეყნის – მთელი ერის სასამართლოსო“ და დასძენდა: „სამართლე ყველასათვის ერთი უნდა იყვეს. ერთი კაცისათვისაც კი თუ დაირღვა სიმართლე, ის სიმართლედ აღარ დარჩება“ [23,50,63].

დამფუძნებელი კრების ფრაქციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოში სასამართლო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ მხრივ გამოიჩინა



ეროვნულდემოკრატიული ფრაქცია, რომელიც ესწარფვოდა გაეთავისუფლებინა იგი ადმინისტრაციის გავლენისაგან. ფრაქცია მიუთითებდა, რომ „თუ ქვეყანაში სამართალი არ არის, – მაშინ სახელმწიფოც არ არის“. „ჩვენ ვიცავთ ჩვენ სუვერენობას, მაგრამ თუ სასამართლოს სფეროში იგი დაცული არ არის, ლაპარაკი სუვერენობაზე ზედმეტია“ – აღნიშნავდა გ. გვაზავა და დასძენდა: „სასამართლო იმიტომ არის სასამართლო, რომ იმის დადგენილება არის კანონი, რომელიც უნდა ასრულდეს; ის ვინც არ ასრულებს, ან ვინც ხელს შეუწყობს მის არ ასრულებას, ის თვითონ არის დამნაშავე სახელმწიფოს წინაშე“ [15, 354].

საქართველოში დროებითი საგანგებო სასამართლოები დაარსდა რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის კანონით გათვალისწინებული საქმეების განსასჯელად, როგორც იყო კანონით დადგენილი მდგომარეობის უფლების აყრა ან შეზღუდვა. თავად ამ სახის საგანგებო სასამართლოებს კი წარმოადგენდა: ქალაქ თბილისის, თბილისის გუბერნიის, ზაქათალის ოლქის, ქალაქ ქუთაისის, ქუთაისის გუბერნიის, ქალაქ სოხუმის, სოხუმის ოლქისა და ომით დაბრუნებული ადგილების საგანგებო სასამართლოები. მცირე დანაშაულობათა ან ისეთ დანაშაულთა განსჯა კი, რომლებისთვისაც კანონით დადგენილი არ იყო მდგომარეობის უფლების აყრა ან შეზღუდვა, ხორციელდებოდა მომრიგებელი მოსამართლის მიერ.

დროებითი საგანგებო სასამართლოების ქვემდებარე საქმეთა გამოძიებისთვის შემოღებული იყო საგამონაკლისო მოთხოვნები. კერძოდ: „გამოძიება მათზე უნდა მომხდარიყო რიგ გარეშე და უნდა დამთავრებულიყო არა უგვიანეს ორი კვირისა საქმის დაწყების დღიდან“. თუ საქმე მეტად რთული აღმოჩნდებოდა და ორ კვირაში შეუძლებელი იყო მისი ჯეროვნად გამოძიება, გამომძიებელი ვალდებული იყო ამის თაობაზე ეცნობებინა ოლქის სასამართლოს

ბრალმდებლისათვის, რომლის მოვალეობას შეადგენდა თვალყურის დევნება მასზედ, რომ საქმე დაჩქარებულად ყოფილიყო დამთავრებული.

პირი, რომლის მიმართაც საქმე ექვემდებარებოდა დროებით საგანგებო სასამართლოს, წინასწარი გამოძიების დროს აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაპატიმრებული. გამოძიების დამთავრების შემდეგ კი, გამოძიებული საქმეს უგზავნიდა სასამართლოს ბრალმდებელს და განკარგულებას გასცემდა, რომ დაპატიმრებული გადაეყვანათ იმ ქალაქის სასამართლოში, სადაც რესპუბლიკის საგანგებო სასამართლო არსებობდა.

თავის მხრივ, ბრალმდებელს სამი დღის ვადაში უნდა შეესწავლა მასზე წარდგენილი საქმე და სასამართლოში შეეტანა ან საბრალდებულო ოქმით ან/ და თავისი დასკვნით შეეწყვიტა (ანუ „საქმე მოსპობილიყო“).

ბრალმდებლის დასკვნას საქმის მოსპობის (შენწყვეტის) შესახებ სასამართლო განიხილავდა სამი დღის განმავლობაში გამწესრიგებულ სხდომაზე და ან დაეთანხმებოდა ბრალმდებლის დასკვნას, ან/და საქმეს უკანვე დაუბრუნებდა ბრალმდებელს საბრალდებულო ოქმის შესადგენად [11, 68-69].

1918 წლის 24 სექტემბერს მიღებული კანონის თანახმად „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ“, ყველა ქალაქსა და სამაზრო ცენტრში უნდა შექმნილიყო მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობები.

დედაქალაქის თვითმმართველობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალი სასამართლოს მოწყობის საქმეს. (მოსამართლეთა ინსტიტუტი დაარსდა 1919 წლის სექტემბერში). თბილისის მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარემ ქალაქის თვითმმართველობის

ყურადღება მიაქცია თბილისის მოსამართლეების მდგომარეობაზე. თბილისში არსებობდა 22 სამოსამართლო უბანი, ერთი თავმჯდომარით და 22 მოსამართლით. მოსამართლეები ირჩეოდნენ თბილისის თვითმმართველობის საბჭოში, გასამრჯელოს მათ აძლევდა მთავრობა და ითვლებოდნენ სახელმწიფო სამსახურში [24, 68-69].

დემოკრატიული საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ბოლო გაელვებას წარმოადგენდა დამპყრობელი ბოლშევიკების მიერ, თბილისიდან დასავლეთ საქართველოში ლტოლვილი ხელისუფლების ღონისძიება. მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ დეზერტირებზე, წამქეზებლებზე, ურჩებზე და მოლაღატეთა გამოსარკვევად საგანგებო სასამართლო შექმნა, რომლის თავმჯდომარედ ვიქტორ ჟლენტი დაინიშნა. მას განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა. მისი კომპეტენცია თითქმის მთავარსარდალზეც ვრცელდებოდა. ჟლენტი ენერგიულად მოქმედებდა. სასამართლოს განაჩენით რამდენიმე პირიც დახვრიტეს [10, 99], მაგრამ ყველაფერი უკვე დაგვიანებული იყო.

## § 2. უზენაესი სასამართლო – სენატი

ტერმინი – „სასამართლო ხელისუფლება“ ქართულ სინამდვილეში პირველად სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში გამოიყენეს. კონკრეტულად, მხედველობაშია 1919 წლის 29 ივლისის კანონი „საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა“. ამ კანონით განისაზღვრა, თუ რომელ ორგანოს ეკუთვნოდა „სასამართლო ხელისუფლება“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თუმცა 1921 წლის კონსტიტუციაში სიტყვა „სასამართლო ხელისუფლება“ საერთოდ არ არის მოხსენიებული. კონსტიტუციის შესაბამის მუხლს „სასამართლოები“ ეწოდება [25, 471].

1919 წლის 17 აპრილის დადგენილება „სასამართლოს განაჩენის შეცვლის თაობაზე შემოსული თხოვნების განხილვისა“ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც მხარეებად გამოდიოდნენ სასამართლო პროცესებზე, უფლებას არ აძლევდა, შეეტანა სააპელაციო საჩივარი დამფუძნებელ კრებაში. დებუტატები მოითხოვდნენ, რომ დამფუძნებელი კრება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და ასეთი საქმეების გარჩევა ხელს შეუშლის და შეაფერხებს მის მოღვაწეობას. აღნიშნული დადგენილება მოიცავს ერთ პუნქტს და აღიარებს: „საქართველოს დამფუძნებელი კრების სახელზე შემოსული თხოვნები და შუამდგომლობანი, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შეცვლას შეეხება, დამფუძნებელი კრების მიერ განუხილველი დარჩება“. ამ დებულებით საქართველოს საკანონმდებლო ორგანო გაემიჯნა მართლმსაჯულებით ფუნქციებს [26].

ჯერ კიდევ 1918 წლის ოქტომბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ერთ-ერთი სხდომა საქართველოს სენატის – უმაღლესი სასამართლო შექმნის საკითხს მიეძღვნა. იუსტიციის მინისტრის მოადგილის გ. გველესიანის თავმჯდომარეობით შე-

ქმნილმა სპეციალურმა კომისიამ სენატის დებულების ძირითადი პრინციპები შეიმუშავა. დიდი სჯაბაასის შემდეგ დებულების პროექტი გადაეცა განსახილველად საქართველოს დამფუძნებელ კრებას. იგი მუხლობრივად 1919 წლის 25 ივლისს განიხილეს. 29 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ სენატის დებულება დაამტკიცა. ამავე წლის 2 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შეიქმნა სპეციალური კომისია „სენატორების კანდიდატთა სიის შესამუშავებლად“. კომისიაში შედიოდნენ ფრაქციის წარმომადგენლები.

1919 წლის 6 ოქტომბერს დამფუძნებელ კრებას სარეკომენდაციო კომისიის მიერ წარედგინა სენატორთა შემადგენლობის სრული სია – სულ 15 წევრი. 7 ოქტომბერს კრებამ ერთხმად მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანდიდატებს და ისინი სენატის წევრებად აირჩია. ესენი იყვნენ: დ. ხელთუფლიშვილი (სენატის თავმჯდომარე), ი. ჯაფარიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ი. ზურაბიშვილი, ს. მიქელაძე, ვ. დემიდოვი, ლ. ასათიანი, ვ. ქუთათელაძე, დ. კალანდარიშვილი, გ. გველესიანი, მ. ქორქაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ი. როინიშვილი, გ. სიღამონერისთავი, გ. მალნარაძე, გ. ხარაზიშვილი და ნ. ქიქოძე.

1919 წლის 23 ოქტომბერს სენატორებმა და სენატის თავმჯდომარემ დადეს საჯარო ფიცი, რომლის ტექსტი ასეთი იყო: „საჯაროდ აღვსთქვამ ვიყო ერთგული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ვასრულო მტკიცედ რესპუბლიკის ყველა კანონები, თვალყური ვადევნო კანონის დაცვას და სისწორით ასრულებას მთავრობის ყველა დაწესებულების და თანამდებობის პირის მიერ, თვით ვქნა სამართალი წმინდა სინდისისამებრ მიუდგომლად და პირუთვნელად და ავასრულო მტკიცედ ყოველივე ჩემს მიერ ნაკისრი მოვალეობა, მახსოვს რა, ამაში პასუხი უნდა ვაგო კანონის და ჩემი სინდისის წინაშე“.

1919 წლის 23 ოქტომბერს თბილისის სასამართლო დაწესებულებათა შენობაში (დღევანდელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა, რომელიც დააპროექტა პოლონელმა არქიტექტორმა ალექსანდრე შიმკევიჩმა. შენობა საზეიმოდ გაიხსნა 1895 წლის 3 იანვარს) გაიხსნა საქართველოს სენატის საზოგადო კრების საჯარო სხდომა. სხდომაზე წაკითხულ იქნა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 27 ოქტომბრის კანონი სენატის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. 1919 წლის 26 ნოემბერს სენატმა დაადგინა, რომ ყოველი საკითხის შესახებ უნდა გამოსულიყო ცალკე მომხსენებელი [14, 399].

სენატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზედამხედველობდა კანონების დაცვას. იგი ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პარლამენტის წინაშე. უმაღლეს სასამართლოში იქმნებოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტები. სამოქალაქო სამართლის დეპარტამენტში შედიოდა საადმინისტრაციო განყოფილება. სენატის თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა ერთ საკასაციო განყოფილებას, ხოლო მისი მოადგილე მეორეს. სენატის უმაღლესი ორგანო იყო საზოგადო კრება. კრება ნიშნავდა საერთო სასამართლოებში მოსამართლეებს, მოსამართლეთა თავმჯდომარეებსა და მოადგილეებს. საზოგადო კრება განიხილავდა ყველაზე რთული კატეგორიის საქმეებს. სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოღვაწეობდა 5 სენატორი, სამოქალაქოში 8. ორივე დეპარტამენტს ჰყავდა პროკურორი, ხოლო პროკურორებს მოადგილეები.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 3 აპრილის სხდომაზე განიხილეს მომავალ კონსტიტუციაში სენატის გათვალისწინების საკითხი. სხდომაზე უარყვეს წინადადება, რომ სენატი ყოფილიყო კონსტიტუციაში დამოუკიდებელ მუხლად. 27 მაისის სხდომაზე ამ საკითხზე კვლავ იმსჯელეს. ამჯერად, კომისიის ყველა წევრმა

ერთხმად დაუჭირა მხარი პ. საყვარელიძის ინიციატივას. სენატი აისახა კონსტიტუციაში. 76-ე მუხლში აღნიშნულია: „საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა: ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვას, და ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ. 79-ე მუხლი კი მიუთითებდა: „სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებული, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“ [25, 471].

სენატმა სულ 16 თვე იარსება. 1921 წლის 22 მარტს რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომი) იგი დეკრეტით გააუქმა. 1919-1921 წლებში სენატში განხილულ იქნა 1000-მდე საქმე [27].

### § 3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

საერთო სამართლის სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს შეტანილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, რომელიც XIII საუკუნიდან უკვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობას განიხილავდა. სასამართლოები მიიჩნეოდნენ, რომ ფაქტების დადგენა ნაფიც მსაჯულთა მოვალეობა იყო და იურისტებისთვის მთავარი პრობლემა ხდებოდა, თუ რამდენად კანონიერად მიაწვდიდნენ მსაჯულებს შესაფასებელ ფაქტებს [5, 33-34].

აღნიშნულ სასამართლოს უძველესი ისტორიული ტრადიციები გააჩნია. სწორედ ასეთი გარემოებითაა განპირობებული, რომ ამ ინსტიტუტის წარმოშობის თაობაზე ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ერთი ვერსიით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა, ინგლისური ცხოვრების წესის გავლენით ფორმირება IX საუკუნეში, მეფე ალფრედ დიდის დროს დაიწყო. მეორე ვერსიით, იგი პირველად გამოჩნდა საფრანგეთში 829 წელს, წმინდა ლუდოვიკოს (ლეთის-მოსავი) მმართველობის დროს. თუმცა იურისტ მეცნიერთა უმრავლესობის მოსაზრებით, იგი ჩამოყალიბდა 1066 წელს ვილჰელმ I-ის მიერ. რომელი ვერსიაც არ უნდა იყოს მართებული, სწორედ შუა საუკუნეობრივი ინგლისია ამ ინსტიტუტის ფაქტობრივი სამშობლო, ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს „ახარა“ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩასახვა [28, 10].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში გატარებული ბურჟუაზიული რეფორმები სამართლის მხარესაც შეეხო. კერძოდ, 1864 წლის სასამართლო რეფორმა ერთი იმ ღონისძიებათაგან იყო, რომელიც შედარებით უფრო მეტად უხსნიდა გზას დემოკრატიულ ელემენტებს სახელმწიფო ცხოვრებაში. შეიცვალა ეკატერინე II-ის დროიდან არსებული წოდებრივი სასამართლო. ამიერიდან ყველას



ასამართლებდა ერთი და იგივე სასამართლო ერთი და იმავე კანონის საფუძველზე. დაარსდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

საქართველოში ეს რეფორმა გამოიხატა 1868 წელს სამ საფეხურიანი სასამართლო სისტემის შემოღებაში. ძირითადი ინსტანცია იყო მომრიგებელი მოსამართლე მაზრაში, მეორე – საოლქო სასამართლო საგუბერნიო ქალაქებში და მესამე – კავკასიის სასამართლო პალატა. დაწესდა ბრალდებისა (პროკურორი) და დაცვის წარმომადგენელთა (ვექილი, ახლებურად – დამცველი) მონაწილეობა სასამართლოში, რაც მართლმსაჯულების მეტ გარანტიას იძლეოდა, მაგრამ სასამართლო წარმოება სავალდებულო რუსულ ენაზე კვლავ გადაულახავ დაბრკოლებას ქმნიდა მოსახლეობასთან სასამართლო სისტემის დაახლოებისათვის. როგორც ერობა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ჩვენში არ შემოღებულა იმავე ყბადაღებული მოტივით – „ადგილობრივი მოსახლეობის მოუმზადებლობის“ გამო [29, 255-256].

მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოხერხდა ამ ჩანაფიქრის განხორციელება. 1919 წლის 17 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. თუმცა კანონის მიღებას წინ უსწრებდა 8 იანვარს გამართული მწვავე დებატები საკონსტიტუციო კომისიაში, სადაც განიხილეს გ. ნანეიშვილის „სასამართლოს“ დებულება. განხილვის მთავარი ობიექტი ნაფიც მსაჯულთა კომპეტენცია იყო. დებულების მიხედვით გაითვალისწინეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება „ყოველგვარი სისხლის სამართლის, პოლიტიკურის და აგრეთვე ბეჭდვითი დანაშაულობისათვის“. ამ მუხლის დადგენის წინააღმდეგ ს. ჯაფარიძე გამოვიდა. მისი აზრით, „პრინციპიალურად და იურიდიულადაც კარგიც არის და სასურველიც, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია იმ მოთხოვნის განხორციელება, რომ ყოველი საქმე ირჩეოდეს ნაფიცმ-

საჯულების მიერ“. ჯაფარიძეს მიაჩნდა, რომ ის მუხლი, რომელიც ნაფიც მსაჯულებს ეხებოდა, ცალკე კი არა, არამედ სხვა მუხლთან ყოფილიყო შეერთებული.

გ. ნანიეშვილის აზრით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი კონსტიტუციაში ცალკე მუხლად უნდა ყოფილიყო, ვინაიდან „მას სახელმწიფოებრივი დიდი მნიშვნელობა აქვს“. ნანიეშვილის ეს მოსაზრება აიხასა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 81-ე მუხლში: „მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“ [25, 472].

1919 წლის 17 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დებულება „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ. განისაზღვრა ნაფიც მსაჯულად ასარჩევი პირისათვის წაყენებული მოთხოვნები. ძირითადი იყო: საქართველოს მოქალაქეობა, ქართული ენის ცოდნა, ასევე წერაკითხვის ცოდნა რომელიმე სხვა ენაზე, 25 წლის ასაკი და არანაკლებ ერთი წლის ცხოვრების ცენზი იმ მაზრასა თუ ქალაქში, სადაც ის ნაფიც მსაჯულად უნდა ყოფილიყო არჩეული. არ შეიძლებოდა გამოძიებაში ან სამართალში მიცემული, ან სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვილი, მოვალედ გამოცხადებული, მზრუნველობის ქვეშ მყოფი, ან ბრმა, ყრუმუნჯი და შემლილი პირის არჩევა ნაფიცი მსაჯულის თანამდებობაზე. დებულება დეტალურად ადგენს არჩევისა და ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის წესებს.

1920 წლის 23 აპრილის „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლის“ შესახებ დროებითი კანონით დაწესდა ფულადი სანქციები იმ ნაფიცი მსაჯულების მიმართ, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდებოდნენ სასამართლოში.

ჯერ კიდევ 1918 წლის 20 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დებულება „რესპუბლიკის დროებითი სა-

განგებო სასამართლოს“ შესახებ, რომლის 33-ე მუხლის მიხედვით, დებულება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შემდეგ უნდა გაუქმებულიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ დროებითი საგანგებო სასამართლოს ფუნქციები ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციაში უნდა გადასულიყო [14, 298].

1920 წლის 26 აგვისტოს თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე მიმართავდა თბილისის გამგეობას და ახსენებდა 1919 წლის 17 იანვრის კანონის მეექვსე მუხლის ძალით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ, რომლის საფუძველზე „თვითმმართველობას ევალებოდა ნაფიც მსაჯულთა სიის შედგენა, რომელშიც უნდა შეეყვანა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ქართული ენის წერაკითხვის მცოდნე, 25 წელს ზევით, ქალაქში წელიწადზე მეტი ხნით მცხოვრები პირები“ [24, 68].

მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში იყო ხარვეზებიც. მაგალითად, საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით რუსი „მრეცხავი“ ქალი, მიბარებული სარეცხის ქურდობის ბრალდებით ერთი წლის მანძილზე ციხეში ყავდათ გაუსამართლებლად. ნაფიც მსაჯულთა 12 წევრისგან შემდგარ პროცესზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე რევაზ გაბაშვილი შემდეგი სურათი გამოიკვეთა: არც მტკიცებულებები და არც მონმეთა ჩვენებები არ იძლეოდა საფუძველს, რომ მრეცხავი სასამართლოს დამნაშავედ ეცნო. მიუხედავად ამისა ბრალდებული ქურდობის ფაქტს აღიარებდა და პატიებას ითხოვდა. როგორც გაირკვა ვილაც ჩინოვნიკმა ურჩია, რომ ქურდობა თავის თავზე აელო, რადგან ასეთი წვრილმანი დანაშაულისათვის ერთ წელზე მეტს არ მიუხჯიდნენ. ეს სასჯელი კი მას უკვე მოხდილი ჰქონდა გასამართლების გარეშე. მრეცხავი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. მიუხედავად იმისა, რომ „გაირკვა მისი უდანაშაულობა, მაგრამ არავითარი კომპენსაცია“ [18, 287-288].

ერეოდა თუ არა ხელისუფლება სასამართლოს საქმეებში და ხდებოდა თუ არა შერჩევითი სამართალი, შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე საქმე: მკვლელობის, ქურდობისა და ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს სამხედრო მინისტრის გრიგოლ გიორგაძის ძმარუბენ გიორგაძე. სასამართლოს დანიშვნამდე ექვსი თვე საპყრობილეში ყავდათ. თუმცა გაირკვა, რომ ღამით მას თავისუფლად შეეძლო ციხიდან გამოსვლა და დილით საკანში დაბრუნება. ასეთი სახის დამნაშავეს სასამართლომ ერთი წელი ციხე მიუსაჯა. მაგრამ მეორე დღეს თბილისელებმა რუსთაველის გამზირზე დაინახეს ამაყად მოსეირნე რუბენ გიორგაძე.

ავილოთ ასევე გახმაურებული პროცესი, რომელიც ეხებოდა 40-მდე მილიციონერის მიერ ჩადენილ დანაშაულს. ასამართლებდნენ სამართალდამცველებს ქურდობისათვის. მძარცველებს იცავდა იუსტიციის მინისტრობიდან ახლად განთავისუფლებული, ნაფიცი ვეჭილი შალვა მესხიშვილი.

სასამართლო პროცესზე დეტალურად დამტკიცდა, რომ „მეორე სამილიციო უბნის“ ორმოცმა მილიციონერმა თბილისში გაძარცვა აზერბაიჯანის მოქალაქის, ვინმე შ ა ხ ტ ა ხ ტ ი ნ ს კ ი ს დაკეტილი ბინა იმავე უბანში. როგორც ჩანს აზერბაიჯანელი საკმაოდ მდიდარი ყოფილა. ხალხის „დამცველებმა“ ნაძარცვი სამილიციო უბნის დარბაზში მიიტანეს და გაინაწილეს. სასამართლოზე ერთ-ერთი ბრალდებული პროტესტს გამოთქვამდა, რომ ნადავლიდან მხოლოდ ერთი ბალიში ერგო, რადგან ძარცვაში მონაწილეობა ვერ მიიღო სადარაჯოზე დგომის გამო.

შახტახტინსკის ძვირფასეულობა და სამკაულები მილიციონერთა ცოლების „სამშვენისი“ გახდა. აღსანიშნავია, რომ ნაძარცვი ქონებიდან ქყველაზე საუკეთესო ნივთები და ძვირფასი ხალიჩები – მილიციის უფროსის, აპოლონ ურუშაძის ბინაში აღმოაჩინეს.

დამნაშავეები არ დაუსჯიათ რადგან ხელისუფლების აზრით საზოგადოების თვალში ამ ფაქტის გახმაურება მათ დისკრედიტაციას გამოიწვევდა; გარდა ამისა არც საერთაშორისო საზოგადოებას ექნებოდა დადებითი გამოხმაურება...

საზგასასმელია, რომ მილიციის უფროსმა არა მარტო შეინარჩუნა თანამდებობა, მოგვიანებით დაინიშნა „საქართველოს წითელი ჯვრის უფროსად“. უფრო მეტიც, ამავე თანამდებობას ფლობდა ბოლშევიკთა ოკუპაციის შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში [18, 290-291].

სასამართლო პროცესის ობიექტურად წარმართვისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, წარმოადგენდა ადვოკატის ინსტიტუტი.

ადვოკატის მოვალეობას შეადგენდა სამართალში მიცემულისთვის გაენია კანონიერი დახმარება, ხელი შეეწყო ჭეშმარიტების დადგენისა და მართლმსაჯულების პირუთვნელი უზრუნველყოფისათვის.

ძველ საქართველოში ადვოკატის შესატყვისი ტერმინი „მეოხი“ უნდა ყოფილიყო, რაც დღეს გავრცელებული უცხო წარმომავლობის – არაბული ვ ე ქ ი ლ ი ს ა და ლათინური ა დ ვ ო კ ა ტ ი ს შესატყვისია. მათ შორის პირველს იცნობს ძველი ქართული წყაროებიც. მოგვიანებით გვხვდება ამ ცნების სხვა ქართული ფორმებიც: თ ა ნ ა – მ ო ს ა რ ჩ ლ ე და მ ო ს ა რ ჩ ლ ე. ამასვე მიუთითებენ დამცველის გვიან დამონმებული სახელები: ქ ო მ ა გ ი და მ ო ნ ა ც ვ ლ ე კ ა ც ი, რომლებიც არსებული წყაროების მიხედვით XVIII საუკუნის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ [30, 10-11].

როგორი უნდა იყოს ადვოკატი? – გერმანელი ავტორის ბ უ კ ე რ ი ს აზრით, „ადვოკატი უნდა ჰგავდეს ქალწულს, რომელიც

ეძებს საქმროებს, მაგრამ ნებას რთავს, რომ თვით ეძებდნენ მას, მისი სიმართლისა და სინმინდის გამო“ [31, 25].

საკვლევ პერიოდში დიდ ინტერესს იწვევს გამოჩენილი ქართველი იურისტის შალვა მესხიშვილის საქმიანობა ადვოკატის რანგში. ჩვენამდე მოაღწია მისმა სიტყვამ სტოლერმანის საქმეზე, რომელმაც ძირეულად შეცვალა განსასჯელის მდგომარეობა.

საქმის მოკლე შინაარსი ასეთია: 1920 წლის 15 იანვარს, ქ. თბილისში, დირიჟორმა სამუელ სტოლერმანმა, თავის ბინაში, რევოლუციურიდან ორი გასროლით მოკლა ცოლი ალექსანდრა სტოლერმანი. შემდეგ იგი გამოცხადდა სათანადო ორგანოში და წინასწარი გამოძიების დროს უჩვენა, რომ თუმცა მკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ თავს დამნაშავედ არ ცნობდა.

სტოლერმანი მიცემულ იქნა სამართალში იმჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 1451 მუხლის პირველი ნაწილით. სახელმწიფო ბრალმდებელმა რიჟამაძემ ბრალდება დამტკიცებულად ცნო და მოითხოვა ბრალდებულისათვის მიესაჯათ კატორღა 15 წლის ვადით.

სასამართლო პროცესზე შალვა მესხიშვილის სიტყვამ ბრალდებულის დასაცავად უდიდესი გავლენა მოახდინა სასამართლოს წევრებზე. ადვოკატმა თავისი გამოსვლა შემდეგნაირად შეაჯამა: „პატივცემულმა პროკურორმა იშუამდგომლა მიუსაჯოთ სტოლერმანს კატორღა 15 წლის ვადით. სტოლერმანმა 15 წლის კატორღა უკვე მოიხადა ცოლთან ცხოვრების დროს. არა, მე შელავათს არ ვთხოულობ. უდანაშაულო სტოლერმანისათვის შელავათი დაუშვებელია. მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე...“ [30, 36].

ამის შემდეგ, თბილისის დროებითმა საგანგებო საქმეთა სასამართლომ (1920 წლის 4 მარტს), რომელმაც დამტკიცებულად

ცნო, რომ სტოლერმანმა ცოლი მოკლა პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში და გამოუტანა მას გამამართლებელი განაჩენი.

ზოგადად ადვოკატურის ინსტიტუტის განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა 1919 წლის 11 ნოემბერს გამოცემულმა დეკრეტმა „საქართველოს ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევის“ შესახებ. ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ აღნიშნულმა საკანონმდებლო ბაზამ შეამზადა პირობები პენიტენციალური სისტემის დემოკრატიულ სანჯისებზე გადასაყვანად. თუმცა ეს პროცესი მხოლოდ სანჯის ეტაპზე იყო, რადგან კანონების მიღებასა და მათ უცილობლად შესრულებას შორის გარკვეული, ძნელად გადასალახი მანძილი მაინც არსებობდა.

# მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

## აღმასრულებელი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები

### §1. მთავრობა

ქვეყანაში ჩამოყალიბებული პარტიული სისტემის ნაირსახეობის მიხედვით მთავრობა შეიძლება იყოს ერთპარტიული, კოალიციური, მრავალპარტიული და უპარტიო. მთავრობის ფორმირების წესი განისაზღვრება სახელმწიფოს მმართველობის ფორმით. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს და მას გააჩნია ფართო უფლებამოსილებები მთავრობის ფორმირების საკითხების განწყვეტაში. ამასთან, მთავრობა გამოდის, როგორც პრეზიდენტთან არსებული აღმასრულებელი ორგანო. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკებში მთავრობის ფორმირების წესი წარმოადგენს საპრეზიდენტო ხელისუფლების შეზღუდვის ძირითად ფორმას და ის ხორციელდება პარლამენტში პარტიათა ფრაქციების თანაფარდობის მიხედვით. ამასთან, მთავრობა ანგარიშვალდებულია არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე. საპარლამენტო რესპუბლიკებში მმართველობითი უფლებამოსილების მთელი სისრულე კონცენტრირებულია მთავრობის მეთაურის ხელში [31, 359].

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სტატუსი, ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებები განპირობებულია მისი წარმოქმნის მიზნებით სახელმწიფო მართვის განხორციელებისთვის კონკრეტულ დარგში ან საზოგადოების ცხოვრების სფეროში... გამოყოფენ აღმასრულებელი ხელისუფლების კოლევიალურ ორგანოებს და ორგანოებს, რომლებიც მოქმედებენ ერთმმართველობის პრინციპზე, ასევე ზოგადი, დარგობრივი და დარგთაშორისი კომპეტენციის ორგანოებს [31, 75].



1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის თანახმად, საქართველოში პირველად დამკვიდრდა რესპუბლიკური მმართველობა საპარლამენტო დემოკრატიის სახით; რომლის მიხედვით, საქართველოს დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წინაშე (იხილეთ, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 20 აგვისტოს დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის“ შესახებ, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა).

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობის სამი წლის მანძილზე საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში მთავარი ადგილი მთავრობას, კერძოდ კი, მის ხელმძღვანელს – მთავრობის თავმჯდომარეს ეკავა. პრეზიდენტის თანამდებობის უარყოფამ მთავრობის თავმჯდომარის პოზიციების განმტკიცება გამოიწვია. იგი ამ დროის განმავლობაში ითავსებდა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს. ამას ადასტურებს საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 მარტის დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენისა“ რომლის მიხედვით, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრს ნ. ჟორდანიას დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით. მე-2 მუხლის მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

მნიშვნელოვანი დისკუსიები შედგა მთავრობის თავმჯდომარის სტატუსთან დაკავშირებით 1918-1921 წლების საკონსტიტუციო კომისიაში. საკონსტიტუციო კომისიამ დიდი პოლიტიკური დებატების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რომლის მიხედვით, მონარქის და პრეზიდენტის გარკვეული პრეროგატივები მთავრობის თავმჯდომარეს გადაეცა. საერთაშორისო წარმომადგენლობა, ელჩების მონვევა, მთავრობის შემადგენლობის

ფორმირება და განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიარაღებული ძალების გამოყვანა კონსტიტუციურად პრემიერს უნდა ენარმოებინა.

თანამედროვე ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირველმა კონსტიტუციამ პრემიერი პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვა, რაც სწორი არ არის. კონსტიტუციურად მთავრობის თავმჯდომარე სარგებლობდა უფლებამოსილებათა მცირედი ნაწილით.

მთავრობის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტრუქციაში მთავარი პოლიტიკური ფიგურა. საპარლამენტო მთავრობის პოლიტიკური მთლიანობა გამოიხატება პრემიერის პიროვნებაში, რომელიც აერთიანებს კაბინეტს და წარმოადგენს საპარლამენტო სახელმწიფოს პოლიტიკის პასუხისმგებელ პირს. კონსტიტუციაში მთლიანადაა ასახული დამფუძნებელი კრების 1919 წლის 30 დეკემბრის რეზოლუციის სულისკვეთება, რომლის მიხედვით სანამ კონსტიტუციით იქნებოდეს განსაზღვრული მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენცია, მიენიჭოს მას განსაკუთრებული უფლებანი მართვაგამგეობისა და კანონიერების დაცვის საქმეში [26].

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 70-ე მუხლის მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარეს მიენიჭა პრეზიდენტის განსაკუთრებული უფლებების მხოლოდ გარკვეული ნაწილი:

- ა) ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობებში; ელჩების დანიშვნა და უცხოელი დიპლომატიური კორპუსის აკრედიტაცია;
- ბ) განსაკუთრებულ შემთხვევებში მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, შეიარაღებული ძალის გამოყვანა;
- გ) მთავრობის წევრების გამოწვევა ან დანიშვნა;

დ) მთავრობის წევრების დათხოვნა ან მთლიანად კაბინეტის გარდაქმნა. სხვა სფეროში მთავრობის თავმჯდომარე შეზღუდული იყო [14, 275].

არსებობის მანძილზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰყავდა სამი მთავრობა. პირველი კოალიციური დროებითი მთავრობა ჩამოყალიბდა 1918 წლის 26 მაისს და იარსება 24 ივნისამდე. 1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობა ეროვნული საბჭოს აღმასკომის მონონებული და ფრაქციებთან შეთანხმებული შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი (მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი), აკაკი ჩხენკელი (საგარეო საქმეთა მინისტრი), გრიგოლ გიორგაძე (სამხედრო მინისტრი), გიორგი ყურული (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი), გიორგი ლასხიშვილი (განათლების მინისტრი), ნოე ხომერიკი (მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი), შალვა ალექსიმესხიშვილი (იუსტიციის მინისტრი), ივანე ლორთქიფანიძე (გზათა მინისტრი).

მეორე მთავრობაში, პირველთან შედარებით, ორი ცვლილება განხორციელდა. 1918 წლის 24 ივნისს მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილის ნაცვლად გახდა ნოე ჟორდანიას, ხოლო 1918 წლის შემოდგომაზე საგარეო საქმეთა მინისტრად (აკაკი ჩხენკელის ნაცვლად) ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა.

მეორე მთავრობა არსებობდა 9 თვის მანძილზე, 1919 წლის მარტამდე.

მესამე ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა შედგა დამფუძნებელი კრების არჩევის შემდგომ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაჯერებელი გამარჯვების პირობებში დამფუძნებელმა კრებამ მესამე მთავრობის თავმჯდომარის

უფლებამოსილება უფრო გაზარდა. მას მიენიჭა ქვეყნის გარეთ სახელმწიფოს პირველი პირის სტატუსი (პრეზიდენტის უფლებამოსილებით). ოპოზიციის ნაწილი (ესერები და ფედერალისტები) მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ამგვარ გაფართოებას ეწინააღმდეგებოდა. კრებამ მთავრობის თავმჯდომარეობა დაავალა ნოე ჟორდანიას. მასვე ერთპიროვნულად დააკისრა მთავრობის დაკომპლექტება. ახალი მთავრობა კაბინეტის ოპტიმიზაციის შედეგად, სამინისტროთა გაერთიანების კურსით ჩამოყალიბდა. 1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა მესამე ერთპარტიული მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე), ევგენი გეგეჭკორი (საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი), ნოე რამიშვილი (შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების, სამხედრო მინისტრი), ნოე ხომერიკი (მინათმოქმედების, შრომის და გზათა მინისტრი), კონსტანტინე კანდელაკი (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი).

1919 წლის ბოლოს მთავრობის ნევრად გიორგი ერაძე (შრომის და მომარაგების მინისტრად) დაინიშნა. 1920 წლის იანვარში სამხედრო მინისტრი გახდა გრიგოლ ლორთქიფანიძე, იუსტიციის მინისტრი კი – რაჟდენ არსენიძე. 1920 წლის 3 დეკემბერს კიდევ ერთი სამთავრობო ცვლილება განხორციელდა. განათლების მინისტრის პოსტი დაიკავა გრიგოლ ლორთქიფანიძემ. თავდაცვის მინისტრი გახდა ნოე რამიშვილის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძე, ხოლო მინათმოქმედების მინისტრად დაინიშნა დავით ონიაშვილი [14, 273-274].

## § 2. იუსტიციის სამინისტრო

იუსტიცია (ლათინურად – სამართლიანობა, კანონიერება, მართლმსაჯულება); ძველ რომში ჩვენ წელთ აღრიცხვამდე I საუკუნეში გაღმერთებული იყო და გამოისახებოდა, როგორც ქალღმერთი, რომელსაც ხელში სასწორი ეჭირა. გააჩნდა თავისი ტაძარი და ჰყავდა მრავალრიცხოვანი ქურუმები, და შეილება ითქვას, რომ კურირებდა სასამართლო დაწესებულებების მთელ სისტემას [31, 266-267].

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტუქტურას იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენდა. 1918-1919 წლებში აღნიშნულ უწყებას ხელმძღვანელობდა შალვა ალექსი-მესხიშვილი, 1919 წელს ევგენი გეგეჭკორი, ხოლო 1920-1921 წლებში რაჟდენ არსენიძე.

იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენდა უწყებას, რომელსაც ქვეყანაში უნდა უზრუნველყო სამართლებრივი რეფორმები, მათ შორის სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია. სამინისტროს მიზანს შეადგენდა „ზრუნვა დარღვეული ნორმალური ნესწყობილების აღდგენისათვის, ცხოვრებაში უფლებრივი პრინციპების განმტკიცებისათვის, სასამართლოს დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნისათვის“. სამინისტრომ თავიდანვე დაისახა შემდეგი რეფორმების გატარება: „არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღება, საგამომძიებო ნაწილის რეორგანიზაცია სასამართლოს გამომძიებელთა დამოუკიდებლობის განმტკიცების ნიადაგზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, უზენაესი საკასაციო სასამართლოს დაწესება, ყოველგვარი წოდებრივი სასამართლოთა მოსპობა და სხვა“.

რეფორმების პროცესში „უდიდესი ყურადღება ჰქონდა მიქ-

ცეული სასამართლო უწყების დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნას იურიდიული მეცნიერების მიერ მიღებულ უფლებათა საფუძველზე და განახლებული ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით“.

იუსტიციის სამინისტროს დიდი შრომის შედეგად 1919 წელს ჩამოყალიბდა პირველი სენატი, როგორც უზენაესი სასამართლო. სენატის დებულება შემუშავებულ იქნა იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გ. გველესიანის თავმჯდომარეობით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ. სწორედ იუსტიციის სამინისტრო ზრუნავდა იურიდიული განათლების განვითარებისათვის საქართველოში. ამის მკაფიო გამოხატულებაა იუსტიციის მინისტრის შ. ალექსიმესხიშვილის მიმართვა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისადმი თხოვნით, რათა პროფესორთა საბჭოს წინაშე განსახილველად წარდგენილიყო იურიდიული ფაკულტეტის დაარსების შესახებ წინადადება.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებობდა „სატერმინოლოგია კომისია“, რომელსაც დავალებული ჰქონდა „უსაჭიროეს იურიდიული ტერმინების გამორკვევა, დაბეჭდვა და სასამართლოს მოხელეთათვის დარიგება“. სამინისტრო სისტემაში შესაძლებელი იყო საუწყებათაშორისო კომისიის შექმნაც. მსგავსი კომისია დაარსდა „განქორწინების პროექტთან“ დაკავშირებით, რომელიც საქართველოს საკათალიკო სო საბჭოს მიერ იყო შემუშავებული. იუსტიციის სამინისტრო, ასევე ზრუნავდა კანონმდებლობის სრულყოფისათვის. სწორედ იუსტიციის მინისტრის მოხსენების საფუძველზე შეიქმნა 1920 წლის 8 აპრილის დეკრეტით „კანონთა გადამსინჯავი დროებითი კომისია“. დოკუმენტურ წყაროებში ვკითხულობთ, რომ „კომისიამ პირველყოფლისა სასწრაფოდ უნდა გამოარკვიოს მოქმედი კანონმდებლობის არქაიზმები და შეიმუშაოს მათი გაუქმების არ შეცვლის პროექტი. ამავე დროს საძირკველი უნდა ჩაუყაროს ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ საკა-

ნონმდებლო კოდექსების შექმნას“. დეკრეტის პირველი მუხლის თანახმად, სამინისტროს კომისიას ევალებოდა მიმდინარე საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება. კომისია შედგებოდა მუდმივი და მონვეული წევრებისაგან და მას იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა. ამ რეფორმას წინ უსწრებდა 1918 წლის 11 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსება, რომლის მიზანი საკანონმდებლო მასალისა და უმაღლესი მთავრობის ზოგადი ხასიათის განკარგულებათა შეკრება, წესრიგში მოყვანა და გამოქვეყნება იყო კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საკოდიფიკაციო განყოფილების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა დაეკისრა იუსტიციის მინისტრს. 1918-1921 წლებში ნორმატიულ დოკუმენტებში მოცემულია იუსტიციის მინისტრის ცალკეული უფლებამოსილებები. მის კომპეტენციაში შედიოდა გამოძიებლების, თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგების დანიშვნა. იუსტიციის სამინისტროს ფუნქცია იყო გამოძიებელთა საქმეების რევიზიაც, სასამართლო სისტემის რეფორმირება. საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 5 ივლისის „ტფილისის სამოსამართლო პალატის შტატების შემცირების“ შესახებ კანონის პირველი მუხლის თანახმად, იუსტიციის მინისტრს დაევალა თბილისის სამოსამართლო პალატის შტატების შემცირების უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, მინისტრის კომპეტენციაში შედიოდა აღნიშნული პალატის შტატგარეშე წევრების, მდივნების, მათი თანაშემწეების, მოხელეებისა და მოსამსახურეების დათხოვნა, თუ ის ამის საჭიროებას დაინახავდა. „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის“ შესახებ 1918 წლის 24 სექტემბრის კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს დაარსებამდე მომრიგებელი მოსამართლის სრულიად დათხოვნა თანამდებობიდან ან მისი დროებითი განთავისუფლება სამსახურიდან იუსტიციის მინისტრს შეეძლო. ასევე, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯ-

დომარის სამსახურიდან დროებით განთავისუფლება იუსტიციის კომპეტენციაში შედიოდა. „ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს შემოღების“ შესახებ 1919 წლის 17 იანვრის კანონის მე-3 მუხლის ძალით, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დაჩქარებით შემოღების მიზნით, იუსტიციის მინისტრს დაევალა, განესაზღვრა ნაფიც-მსაჯულთა ასარჩევად სათანადო სიების შედგენისთვის დრო და ვადა [14, 206-207].

1920 წლის 3 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების“ შესახებ კანონი მიიღო, რომლის 27-ე მუხლის მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრი იუსტიციის მინისტრთან ერთად გამოსცემდა ინსტრუქციას აღნიშნული კანონის განსახორციელებლად.



### § 3. შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველაზე დიდი უწყება იყო. რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებით სახელგატყნისილი და ოდიოზური „პოლიციის“ დასახელება ქართველმა სოციალდემოკრატებმა „მილიციით“ შეცვალეს. ორგანიზაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. 1918 წლის 26 მაისიდან საბჭოთა ოკუპაციამდე სამინისტროს უცვლელად ხელმძღვანელობდა ენერგიული პიროვნება ნოე რამიშვილი. სხვადასხვა დროს მისი მოადგილეები იყვნენ გერასიმე მახარაძე, კონსტანტინე საბახტარაშვილი და პარმენ ჭიჭინაძე. 1918 წლის ანარქიისა და ხშირი სახალხო მღელვარების პირობებში ძალიან ძნელი იყო ამ ძალოვანი სტრუქტურის ფორმირების პროცესი.

სამინისტრო შედგებოდა ათი განყოფილებისაგან: 1. ადმინისტრაციული; 2. საერთო; 3. საერობო; 4. სამეურნეო; 5. საანგარიშო; 6. საპენსიო; 7. სამზრუნველო; 8. საექიმოსასანიტარო; 9. ლტოლვილთა; 10. განსაკუთრებული რაზმი. თითოეულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა გამგე, განსაკუთრებულ რაზმს კი მეთაური. სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო რაზმი, მილიცია და მისი „მფრინავი“ ცხენოსანთა რაზმი მონაწილეობდა მანგლისის აჯანყების ლიკვიდაციაში და სხვა სამხედრო ოპერაციებში, რომელიც ძირითადად ბოლშევიკების მიერ იყო ინიცირებული. სამინისტრო ცდილობდა, მოეგვარებინა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობილი ლტოლვილთა უკონტროლო მასის განთავსების პრობლემა. ამავე დროს მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ადგილობრივ ერობათა გამართული საქმიანობისათვის ხელშეწყობა იყო. შინაგან საქმეთა მინისტრი ნიშნავდა და ათავისუფლებდა მაზრების კომისრებს, სამინისტროს ფარგლებში არსებობდა ცენტრალური საერობო ორგანო. ადგილობრივ დო-

ნეზე ფინანსური სიმწირის გამო, რეალურად სამინისტრო რჩებოდა ერობათა მთავარი დამხმარე. სამინისტროს ფუნქციებში შედიოდა, ფაქტობრივად, არარსებული საპენსიო უზრუნველყოფის საქმის მონესრიგება და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სამინისტროს ყველაზე ქმედითი ორგანო რესპუბლიკის შიგნით სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში საგანგებო რაზმი იყო. რაზმის მუშაობის მთავარ მიმართულებას ბოლშევიკური ნაწილების აღმოჩენა და განეიტრალება წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის პერიოდში საგანგებო რაზმმა ათასზე მეტი ბოლშევიკი დააპატიმრა, აღმოაჩინა არალეგალური ორგანიზაციები და აღკვეთა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები. სამინისტრო თავისი სამაზრო მილიციის განყოფილებების საშუალებით მუდმივად იღებდა მონაცემებს კრიმინალური სიტუაციისა და მასთან ბრძოლის შესახებ. საერობო განყოფილებისა და მაზრის კომისრების საშუალებით სამინისტროს, სხვა უწყებებთან შედარებით, ყველაზე მარტივად შეეძლო მიღებული კანონების ადგილობრივ დონეზე სწრაფი და ეფექტური გატარება.

სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა მოქალაქეთა აღრიცხვა, მათთვის პირადი დოკუმენტების გაცემა და სხვა ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობის წარმოება. სამინისტროს ქვეყნის შიგნით სიმშვიდის შესანარჩუნებლად და ცრუ ინფორმაციის მასობრივად გავრცელებისგან დასაცავად, რამდენჯერმე მოუწია სხვადასხვა პრესის ორგანოს დახურვა ან შეჩერება [14, 488].

მილიცია ფორმირების პროცესში თანდათან ავლენდა ორგანიზებულობას, დარაზმულობას. საქართველოს სახელმწიფომ ახლადშექმნილ მილიციის ქვედანაყოფებს სპეკულაციასთან, სა-

ხაზინო ქურდობასთან, კონტრრევოლუციური იდეების გავრცელებასთან ინტენსიური ბრძოლის ამოცანა დაუსახა. ამ მიზნით სპეციალურად ზემოთ აღნიშნული „მფრინავი რაზმები“ შექმნა. ეს რაზმები ცენტრალურ ქალაქებში 600-1000 კაცს, ხოლო პერიფერიებში – 300-400 კაცს აერთიანებდა. ისინი ხშირად წარმატებით ახორციელებდნენ რთულ სახელმწიფო დავალებებს. განსაკუთრებით ებრძოდნენ ბოლშევიკურ ანარქიასა და შეთქმულებებს.

სხვადასხვა ორგანიზაციასა და სახელმწიფო სტრუქტურაში საქართველოს მილიციას თავისი უშტატო თანამშრომლებიც ყავდა. ისინი თვალს ადევნებდნენ ორგანიზაციაში პოლიტიკურ კეთილსაიმედოობას და ამხელდნენ სახელმწიფოს შესაძლო მოწინააღმდეგეებს [22, 31].

განყოფილება, რომელსაც „საგანგებო რაზმი“ ეწოდებოდა ხელმძღვანელობდა 2500 კაციან პირად შემადგენლობას. აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკებს შიშის ზარს სცემდა მინისტრის – ნოე რამიშვილის ხსენება. განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩეოდა რაზმი, როდესაც მას კეიღია ჩაუდგა სათავეში. საგანგებო რაზმს ჰქონდა სანქცია, მოპოვებული ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის საფუძველზე სასამართლოს დადგენილების გარეშე გაეჩხრიკათ ფიზიკური და იურიდიული პირები. ამ უფლებას ისინი იყენებდნენ ბიზნესმენებისა და ვაჭრების მიმართაც.

გარდა ზემოაღნიშნულისა სამინისტროში ფუნქციონირებდა „სახელმწიფო კონტრდაზვერვის“ განყოფილება, რომელიც დეპარტამენტის სახელითაც მოიხსენიება დოკუმენტებში. უწყება ითავსებდა, როგორც კონტრდაზვერვის, ასევე დაზვერვით საქმიანობას. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფების გამოსავლენად. „კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ნოე რამიშვილს წარუდგენდა ხოლმე საბჭოს ბობოლა

ბოლშევიკების საქციელზე, იგი დაუყოვნებლივ აპატიმრებდა მათ ადმინისტრაციული წესით და ასამართლებდა საველე სასამართლოში, რომელიც მის დაქვემდებარებაში იყო“ [8, 87].

რაც შეეხება დედაქალაქს, 1918 წელს თბილისის საქალაქო მილიციის შტატში ირიცხებოდა მილიციის უფროსი, მისი სამი მოადგილე და დაბალი თანამდებობის 49 პირი. ქალაქი დაყოფილი იყო 12 უბნად. ყოველ მათგანს განაგებდა საუბნო კომისარი და მოადგილე. უბნებში მუშაობდა 87 უფროსი და 700 უმცროსი მილიციონერი. სულ მილიციის შტატში ითვლებოდა 903 კაცი, რომელთა ხელფასის უზრუნველყოფისათვის თვითმმართველობამ 1918 წელს 3 მილიონი მანეთი გამოყო. ამავე წლის 29 იანვარს სათათბიროს სხდომაზე თბილისის მილიციის უფროსად ალექსანდრე კონიაშვილი აირჩიეს [24, 61].

1920 წლის 7 მაისს ქალაქის გამგეობამ ქალაქის საბჭოს მიმართა მოხსენებით, თბილისის სისხლის სამართლის მილიციის საერთო ქალაქის მილიციისაგან გამოყოფის შესახებ. სისხლის სამართლის მილიცია საერთო ქალაქის მილიციის მოქმედებას ექვემდებარებოდა, რაც არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მიზანშეწონილად სისხლის სამართლის მილიციის სპეციფიკიდან გამომდინარე. კიდევ უფრო უხერხული ხდებოდა ეს სისტემა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის მილიციის გამგებლობა ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა საერთო ქალაქის მილიციის ხელისუფლებას. სისხლის სამართლის მილიცია სპეციალური ორგანო იყო, კანონი მას განსაკუთრებული ხასიათის საქმეებს აკისრებდა [24, 66-67].

1919 წლის იანვარში დამტკიცდა კანონები ადმინისტრაციისა და მილიციის ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელში გადაცემის, საგუბერნიო ადმინისტრაციულ დაწესებულებათა გაუქმებისა

და ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობის დაარსების შესახებ [24, 68].

აღნიშნულ პერიოდში ფინანსური პრობლემების მიუხედავად ხელისუფლება ახერხებდა გამოენახა სახსრები მათი დაზღვევისათვის, კომპენსაციისათვის, მილიციის თანამშრომელთა შესამოსად (სეზონურად), დახმარებისათვის, ყოფილი თანამშრომლებისა და დაღუპული მილიციონერების ოჯახების შემწეობისათვის, სამსახურებრივი საჭიროებისათვის საქალაქო ტრანსპორტით უფასო სარგებლობისათვის, ხელფასების მომატებისათვის და სხვ. ფაქტია, რომ მილიციის მაღალჩინოსნები ხელფასზე სოლიდურ დანამატს იღებდნენ საცხოვრებელი ფართისა და კომუნალური გადასახადებისათვის [24, 65].

აღნიშნულის მიუხედავად მილიციონერთა საგრძნობი ნაწილი ცდუნებას ვერ უძლებდა, არ უკადრისობდა ქრთამის აღებას, გამოძალვას. კორუფციაში მხილებულნი დააპატიმრეს. სახელგატეხილი კომისრები დაითხოვეს. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით „სისხლის სამართლის მილიცია“ დაუქვემდებარეს ქალაქის პროკურორის ზედამხედველობას, დაწესდა მილიციაში მისაღებ პირთა საქმიანი თვისებების წინასწარი შესწავლა, ამ ორგანოში უპირატესად სკოლადამთავრებულთა მიღება. „ჩემსა და მილიციის უფროსის მიერ მიღებულმა ზომებმა – ნათქვამი იყო ქალაქის მოურავის ბ. ჩხიკვიშვილის ბრძანებაში – ჯერ კიდევ ვერ მოიგანეს დადებითი შედეგი. ზოგიერთი მილიციონერები განაგრძობენ ძველი გზით სიარულს, იღებენ ქრთამებს და ხშირად უმიზეზოდ შეურაცხყოფენ მოქალაქეებს. ბრძანებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ თბილისის კლუბებში ფართო მასშტაბი მიიღო „ქალაქის თამაშმა, რასაც ანგარების მიზნით ზოგიერთი კომისრები ხელსაც კი უწყობდნენ. მესამე სამილიციო უბნის კომისარ კვესაძესა და მის თანაშემწე ქანთარიას მარტო ერთი კლუბიდან

თვენახევრის განმავლობაში ქრთამის სახით 61 მანეთი ჰქონდათ აღებული [32, 202].

საყურადღებოა, რომ საქართველოს მთავრობა რატომღაც ყველაზე ნაკლები თანხით აფინანსებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაც ბუნებრივია უწყების მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. მაგალითად, 1918-1919 წლებში სამინისტროებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო: შინაგან საქმეთა სამინისტროზე – 10%, ფინანსთა და მრეწველობის სამინისტროზე – 30%, გზათა სამინისტროზე – 21%, სამხედრო სამინისტროზე – 30% [8, 72].

# მართლმადიდებელი ეკლესიის

## ბრძოლა დამნაშავეების წინააღმდეგ

ფაქტია, რომ კანონის დამრღვევები არსებობენ იმ დროიდან, რა დროიდანაც არსებობენ თავად კანონები, მამასადამე უნდა იყვნენ კანონის დამცველებიც [33, 9]. კონფუცი ამბობდა: „თუ ხალხს უხელმძღვანელებენ კანონთა საშუალებით და ხალხში შეიტანენ წესრიგს სასჯელთა მეშვეობით, ხალხს ექნება სირცხვილის გრძნობა და გამოსწორდება“ [33, 12], მაგრამ ცხოვრებაში ყოველთვის ასე არ ხდება.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, იმპერიისაგან მიძიმე კრიმინოგენული მემკვიდრეობა ერგო. წინა ეპოქაში დამნაშავეთა სამყარო განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. დანაშაულის ზრდას ხელს უწყობდა სამართალდამცავი ორგანოების სუსტი მუშაობა. ვითარება განსაკუთრებით გართულდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. პოლიციის სუსტი მუშაობის გამო ქურდები და ყაჩაღები დღის განმავლობაში უშიშრად დასეირნობდნენ თბილისის ქუჩებში და მსხვერპლს ელოდებოდნენ. გახშირდა მკვლევლობები. „თუმცა გულისთვის მოჰკლამდნენ და გვამს მტკვარში გადაისროლდნენ, ამგვარი მკვლელობა ძალიან ხშირი იყო უფრო საროსკიპო სახლებში“ [34, 40].

ფქვილის მოედნიდან აბანოებამდე, ქუჩის ორივე მხარეს საღამოობით ჩამწკრივებული მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, განსაკუთრებით მაჰმადიანები გამვლელ მამაკაცებს „ეპატიჟებოდნენ“. „უკეთუ ვისმეს შენიშნავდნენ, რომ ზედ ფული აქვს, მოკვლა და მტკვარში გადაგდებაც იმათი ხელობა იყო“ [34, 46].

ასეთ ვითარებაში პოლიციის თანამშრომელთა რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელი იქნებოდა. პოლიციელების ჩაცმულობა

და „აღჭურვილობა“ კრიტიკას ვერ უძლებდა: „ნაბდის ქუდებით ჩოხა ჩაცმულები სახრე ხელში მოედან ადგილებში იდგნენ“ [34, 40].

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც კი ხელისუფლების კონტროლი შესუსტდა იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ბათუმსა და ბათუმის ოლქში დამნაშავეთა სამყაროს გამოცოცხლება დაეცყო. ადამიანის სიცოცხლე არაფერს წარმოადგენდა. დღისით, მზისით, ხდებოდა მკვლელობა, ძარცვა, ტერორისტული აქტები. თავდაცვის მიზნით მოსახლეობა იარაღს იძენდა, რაც კიდევ უფრო ართულებდა სიტუაციას.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია და სამხედროები რეიდებს ერთობლივად ახორციელებდნენ, კრიმინოგენული ვითარება მაინც საგანგაშო იყო. 1901 წლის 14 ივლისს ბათუმში, მარინის პროსპექტზე გაძარცვეს უცხოელები, რომლებსაც წაართვეს ფული და სხვა-დასხვა ნივთები. შემოფოთებულმა უცხოელებმა იჩივეს პოლიციაში. ქურდობა დაბრალდა როტმილდის ქარხნის სოციალ-დემოკრატი მუშებს: რ. მგელაძეს, ი. დოლიძეს და მ. ტაბიძეს. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ქარხნიდან მომავალი დასახელებული პირები პოლიციამ შეაჩერა დაპატიმრების მიზნით, მათ მაშინვე ცეცხლი გაუხსნეს სამართალდამცველებს. დაიღუპა ორი პოლიციელი და ორი ეჭვიმიტანილი. ფეხში დაიჭრა რ. მგელაძე, რომელიც პოლიციელებმა სასიკვდილოდ სცემეს [35, 45].

კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. საბრძოლო ტაქტიკაში სოციალ-დემოკრატები ხშირად ინდივიდუალურ ტერორს მიმართავდნენ. ე.წ. „წითელ რაზმებში“ ცოტა როდი იყო ავანტიურისტი და ვიგინდარა; საერთო რევოლუციურ ენთუზიაზმს აყოლილნი, ისინი მდიდარ თანასოფლელთა ძარცვას და მათთვის სისხლიან ანგარიშსწორებასაც



ახორციელებდნენ [36, 150]. მაგალითად, სოფელ ბაშში ერთმა თავადმა პოლიციის საშუალებით თავის მოვალე გლეხებს ღალა გადაახდევინა. ერთ ღამეს იმ თავადიშვილს მიეჭრნენ სახლში რაზმელები, რიცხვით თერთმეტი კაცი, რომელთა შორის სამი თუ ოთხი ადგილობრივი მცხოვრები გლეხიც ერია, თავადი იმ ღამეს ოჯახში არ იყო. სახლში იყვნენ ცოლი, რამდენიმე მცირეწლოვანი შვილით და მოსამსახურე გოგო. თავზარდაცემული ცოლი სახლის სახურავში აიჭრა და გოგოსა და შვილებს შეეხვეწა არ გაემხილათ იგი. რაზმელებმა შეანგრიეს კარები, შეცვივდნენ სახლში და დაუნყეს ცემა ბავშვებს: თქვით, სად არიან თქვენი დედამა. ბავშვებმა ცემას ვერ გაუძლეს და ასწავლეს სად იმალებოდა მათი დედა. რამდენიმე კაცი აიჭრა სახლის სახურავში და ჩამოათრიეს ძირს საბრალო ქალი. შემდეგ რაც მოხდა, ქვეყნიერების გაჩენის პირველი დღიდან ადამიანის მიერ ჩანადენ ყოველ ბოროტმოქმედებას აღემატება. ბავშვების თვალწინ თერთმეტმა კაცმა უცირცხვილოდ გააუპატიურა დედა და შემდეგ გულშენუხებულ, ღონემიხდილ ქალს საშო მინით გამოუტენეს. მინას აყრიდნენ და თოფის ლულით სტენიდნენ... [37, 20-21].

„წითელი რაზმები“ ამავე დროს ებრძოდნენ ხელისუფლებას ტერორისტული მეთოდებით. მათ არ შეეძლოთ გამკლავებოდნენ არმიის რეგულარულ ნაწილებს, ამიტომ თავდასხმებს ახდენდნენ ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე, ვისზე თავდასხმაც იოლი იყო, კერძოდ არმიის, პოლიციის, „ოხრანკის“ დაბალ ჩინებზე, სამთავრობო დაწესებულებების ჩინოვნიკებზე, მამასახლისებზე, სასამართლოს გამომძიებლებზე და სხვებზე. ტერორს ახორციელებდნენ შემდეგი პრინციპით: დაარტყი და გაიქეცი, დაუცველს და არა ძლიერს [38, 126].

პოლიტიკური პოლიციის ადგილობრივი ორგანოების მონაცემებით კავკასიაში ტერორისტულ ნიადაგზე მხოლოდ 1907 წელს

მოხდა 3060 მკვლელობა და ძარცვის შემთხვევა. ნოე ჟორდანიას დასკვნით, იმ დროს „მთელი... მუშაობის იარაღი იყო ფული. რომელი მეთაურიც ან ჯგუფი ფულს იშოვიდა სადმე, ის აგროვებდა თავის ირგვლივ მუშებს და ლიდერობდა. ამ მხრივ ყველაზე უფრო მდიდარი გამოდგა ლენინი. მისი აგენტები (სტალინი და სხვები) ახდენდნენ ექსებს. მათ ჩაიგდეს ყვარლის ხაზინიდან წალბებული ფული“ [39, 55]. ფულის საშოვნელად კი კავკასიაში არსებული ყველა რევოლუციური პარტია ახდენდა ექსპროპრიაციებს. შეიარაღებული თავდასხმების გზით ძარცვავდნენ სახელმწიფო, თუ კერძო პირებს.

ტერორისტული ძალადობის სხვადასხვა ფორმიდან ექსპროპრიაციები ყველაზე მეტად აახლოებს ტერორისტებს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან. მათ შორის რამდენიმე მსგავსებაა: პირველი ის, რომ ორივე კატეგორია შეგნებულად არღვევს არსებულ კანონებს; მეორე – იყენებენ დანაშაულის ჩადენის პრაქტიკულად ერთნაირ საშუალებებს; მესამე – ტერორისტები არც თუ იშვიათად ექსპროპრიაციებს ახდენდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეების გამოყენებით და ხშირად ითვისებდნენ ხელში ჩაგდებული ფულის დიდ ნაწილს.

ხშირ შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანების ძარცვამ, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცებამ (მაგალითად, მენშევიკმა ტერორისტებმა 1906 წელს ბათუმში გაიტაცეს საზოგადოებაში დაფასებული ექიმი და შემდეგ მოკლეს), გამოიწვია რევოლუციური პარტიების პოპულარობის დაცემა მოსახლეობაში. შემცირდა შესაბამისად რევოლუციის თანამგრძობთა რაოდენობა. სახელი გაუტყდათ ასევე საზღვარგარეთაც. კერძოდ, თბილისში ერევნის მოედნიდან „ლეგენდარული“ ბოლშევიკ-ექსპროპრიატორის კამოს (ტერ-პეტროსიანის) მეთაურობით სოციალ-დემოკრატების მიერ, გატაცებული 250 ათასი მანეთის მსხვილი კუპიურების გადახ-

ურდავებისას შვეიცარიაში დააპატიმრეს ცნობილი ბოლშევიკი ლიტვინოვი [38, 129].

1911-1912 წლებში ბათუმში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ამ დროს ქალაქში მოქმედებდა ყაჩაღთა თავზებელაღებული ჯგუფი, რომელსაც მოსახლეობა ტერორიზებული ჰყავდა. გახშირდა მკვლევლობები ფულის გამოძალვის მიზნით. ადამიანთა გატაცება, ხალხის დაშანტაჟება. პოლიცია უსუსური იყო წინ აღდგომოდა ბანდიტიზმს. მთავრობა ყველა დანაშაულს რევოლუციონერებს აბრალედა. ეს ბრალდება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ზოგჯერ დაკავებული ყაჩაღი სოციალდემოკრატების წევრი აღმოჩნდებოდა და ეს იყო იმის მიზეზი, რათა მთავრობას პოლიტიკური ორგანიზაციები დაედანაშაულებინა ვითარების დესტაბილიზაციაში [40, 130].

როგორც ცნობილია ყოველგვარი რევოლუცია და სახელმწიფო გადატრიალება დამნაშავეთა სამყაროს გააქტიურებას იწვევს და მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობა კრიტიკული ხდება. თებერვლის რევოლუციის შედეგებიდან, რომელსაც მეფის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა, ცნობამ ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ და კულტურულ დედაქალაქ თბილისში მოგვიანებით ჩააღწია. მეორე დღესვე აშკარა შეიქმნა, რომ ვითარება რადიკალურად იცვლებოდა. ჯერ პოლიცია გაუჩინარდა თბილისის ქუჩებიდან, შემდეგ კი სახელმწიფო დაწესებულებები დაიხურა. ქალაქს ე.წ. რევოლუციონერთა ბანდები მოედვნენ. დააპატიმრეს საიდუმლო პოლიციის უფროსი [20, 52].

დიდი რეზონანსი გამოიწვია და მოწონება ხვდა დროებითი მთავრობის დეკრეტს პოლიტიკურ პარტიათა საყოველთაო ამნისტიის შესახებ. ციხეებიდან და გადასახლებიდან დაბრუნდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი მრავალი რევოლუციონერი,

რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამნისტიის იმ ნაწილმა კი, სისხლის სამართლის დამნაშავეებს რომ ეხებოდა და საპრობილეებიდან ათასობით ბოროტმოქმედი გაათავისუფლა, კრიმინალური ვითარების საგრძნობი გაუარესება გამოიწვია. ბანდიტობა-ყაჩაღობამ მასშტაბური ხასიათი შეიძინა. დღისით მზისით, ძარცვის მიზნით, ადამიანებს თავს ესხმოდნენ ქუჩებში, უვარდებოდნენ სახლებში, დაუნდობლად კლავდნენ მიზანში ამოღებულ მსხვერპლს, იტაცებდნენ სხვის ქონებას.

დამნაშავეთა სამყარო ისე გათამამდა, რომ ერთხელ კოჯრის გზაზე თბილისიდან მომავალი მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი და „ოზაკომის“ წევრი აკაკი ჩხენკელიც კი დააყაჩაღეს. სამმა შეიარაღებულმა პირმა ჩხენკელი გაძარცვა, მისი თანამგზავრი ნაფიცი ვეჭილი მაჭავარიანი, წინააღმდეგობის განწევსათვის თავში დაჭრეს. ასევე ერთი მილიციელი, რომელიც დეპუტატს მიეშველა. ბოროტგანმზრახველნი მიიმალნენ [41, 109-110].

დროებითი მთავრობის მიერ ახლადშექმნილი განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) თითქმის უძლური იყო გამკლავებოდა სამხრეთ კავკასიასა და საკუთრივ საქართველოში არსებულ განუკითხაობას. ოზაკომს მხარში ამოუდგნენ ადგილობრივი ავტორიტეტული პოლიტიკური ძალები. ისინი მოსახლეობას მოუწოდებდნენ, ყველგან ქალაქებსა და სოფლებში დაეცვათ სრული წესრიგი, დაპირისპირებოდნენ ყოველგვარ ძალადობასა და კერძო საკუთრების მითვისებას. საყურადღებოა, რომ დედაქალაქში წესრიგის დაცვის ერთერთ წინაპირობად ღვინით ვაჭრობის აკრძალვა მიუჩნევიათ და დიდ რესტორნებსა და კლუბებშიც კი ალკოჰოლური სასმელის გაყიდვა შეუჩერებიათ.

რთული იყო ვითარება სოფლადაც, სადაც ღარიბი გლეხობა ფართოდ გაიტაცა სხვისი საკუთრების ხელყოფამ. გახშირდა

მემამულეთა თუ სახაზინო მიწების უკანონო მითვისება. ფრონტის ხაზიდან თვითნებურად გამოქცეული მრავალი ჯარისკაცი სახლში დაბრუნების შემდეგ მაროდორობას იწყებდა. გაჩნდნენ შეიარაღებული რაზმები, რომლებიც ატერორებდნენ სოფლების შეძლებულ ოჯახებს. გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე, ღალა-ბეგარასა და საოჯახო ვალდებულებებზე. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდათ, აძევებდნენ საკუთარი ეზოკარიდან, ყველაზე საძულველ მებატონეებს კი კლავდნენ. თუ ადრე გლეხები უჩიოდნენ მემამულეებს, ახლა მემამულეებმა აავსეს საჩივრებით ოზაკომი თუ სხვადასხვა საბჭო და მათი აღმასკომი. ოზაკომმა, როგორც საგუბერნიო, ისე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს განკარგულება დაუგზავნა და მოსთხოვა, მიეღოთ სასწრაფო ზომები ამ თვითნებობის აღაგმვისა და კანონიერების აღსადგენად [41, 112-113].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სულ ცოტა ხანში საგრძნობლად გაიზარდა დანაშაულის სტატისტიკა. ამას ხელს უწყობდა ბოლშევიკური პროპაგანდა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1918 წლის ზაფხულიდან. აღნიშნულ პერიოდში ბოლშევიკების ათასობით აგენტმა ადვილად შემოაღწია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რადგან ქვეყნის სასაზღვრო დაცვა და პოლიცია ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ ჩამოყალიბებული. იარაღი, აღჭურვილობა და ფული ურიგდებოდათ დეზერტირებს, ბანდიტებსა და სხვა ჯურის დანაშავეებს, რომლებიც საქართველოში, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში კომუნისტების ძირითად საყრდენ ძალას წარმოადგენდნენ.

1918 წლის შემოდგომის ბოლოს კომუნისტების მართულმა დაჯგუფებებმა დუშეთის რაიონში აჯანყება მოაწყვეს, თუმცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცირერიცხოვანმა სამხედრო შენაერთებმა ეს აჯანყება ადვილად ჩაახშვეს [42, 64].

უნდა ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას გარკვეულწილად აფერხებდა მთავრობის ხელმძღვანელის კონტროლი და თვითნებობა. როგორც ჩანს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში კვლავ ამოტივტივდა. ნოე რამიშვილის განკარგულებით დააპატიმრეს ილიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი ფილიპე მახარაძე და გიგლა ბერბიჭაშვილი. მინისტრმა მკვლელობის გამოსაძიებლად მასალები გადასცა დამფუძნებელ კრებას. შეიქმნა საგანგებო კომისია. ამ დროს კი, ნოე ჟორდანიამ ფარულად გამოაშვებინა ციხიდან დაკავებულები და „თავის მძლოლს, თავისივე სახელმწიფო მანქანით ჩააყვანინა ვლადიკავკაზში“ [8, 91]. ასეთი უნდობლობის მიზეზი იყო, რომ „ხელისუფლება კრიზისის დროს შინაგან სამინისტროსთან შედარებით უფრო სახალხო გვარდიასა და რეგულარული ჯარის ნაწილებს ეყრდნობოდა“ [22, 30]. მოსახლეობა კი გვარდიას უნდობლობას უცხადებდა. გვარდია, რომლის ქმედებები შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში ჩარევით გამოიხატებოდა. კერძოდ, „გვარდიის მთავარი შტაბის დადგენილების თანახმად ქუჩაში იჭერდნენ ვითომ უმუშევარ მოქალაქეებს და ყარაიხში სამუშაოებზე აგზავნიდნენ. ყველაფერი ეს დამფუძნებელი კრებისა და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის თვალწინ ხდებოდა. იძულებით მომუშავეებს მძიმე პირობებში უხდებოდათ არსებობა: მინურებში ცხოვრობდნენ, მინაზე ეძინათ, არ გააჩნდათ თეთრეული, არც საბნები. უმრავლესობა ავადდებოდა. ერთმა მუშამ თვალის ჩინი დაკარგა იმიტომ, რომ ძილში ვირთხამ თვალზე უკბინა“ [10, 23].

დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიკურად ძალიან გაუჭირდა. ძველი სტრუქტურები იშლებოდა, ახალი კი ჩამოყალიბების პროცესში იყო. ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობაში იქნებოდა მოსახლეობა, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის ოჯახი

უაღრესად ღარიბულად ცხოვრობდა. **ნნ.** რამიშვილის ვაჟი აკაკი რამიშვილი იგნობეს, რომ „გადავდიოდით ლობიოსა და ფაფაზე, ვჭამდით შავ პურს. პურში აშკარად შერეული იყო მინა და ჭამის შემდეგ კუჭის საშინელ ტკივილს იწვევდა. თუმცა უჭმელობაც საშინელება იყო“ [8, 39]. ან კიდევ, გავიხსენოთ ნ. ჟორდანიას მოგონება: „მეც სანოვაგეს ჩემი სახლიდან ვიღებდი ხშირათ. ერთხელ ჩამოვიდა დედაჩემი მრავალნაირი სანოვაგით, გაგვიხარდა რასაკვირველია. დედა მეუბნება: მითხრეს შენ მინისტრი ხარო, რავა დავიჯერო, ჩემი სარჩენი მინისტრი ვის გაუგონიაო! მართლაც, გამოდიოდა, რომ მე მას კი არ ვარჩენდი, არამედ ის მე. ერთი სიტყვით ყველა გაჭირვებული ვიყავით...“ [39, 102].

შეიძლება ითქვას, რომ მთელ ქვეყანაში ფაქტიურად შიმშილობა იყო. პურის კრიზისმა ისეთ მდგომარეობას მიაღწია, რომ გურიაში „ექიმები თავის კლიენტებს ჰონორარის მაგივრად მჭადის ნატეხს სთხოვდნენ“ [43, 87].

ეკონომიკურმა მდგომარეობამ გაზარდა „მათხოვართა“ რაოდენობა. 1920 წლის 7 ივნისს თბილისის საბჭოს სხდომაზე დაადგინეს: დედაქალაქში აეკრძალათ ბავშვების მათხოვრობა. გადანყდა, პასუხისგებაში მიეცათ ის მშობლები, რომლებიც ბავშვებს სამათხოვროდ გაუშვებდნენ. პროცესში ჩართეს სამართალდამცავი ორგანოები [24, 18].

აღნიშნული ვითარების გამო გახშირდა წვრილმანი ქურდობის შემთხვევები. ჯერ კიდევ 1917 წლიდან თბილისში დაფიქსირდა ელექტრონათურების მოპარვის ფაქტები. ელექტრონათურების დასაცავად საჭირო გახდა სპეციალური ჯგუფის შექმნა [24, 40].

1918 წლის 27 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღეს ხელისუფლების გადაწყვეტილებით დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით გაძლიერდა დაცვა და იარაღით მომარაგდა

თბილისის შემდეგი დაწესებულებები: ავჭალის წყალსაცავი, მაგისტრალი, ტრამვაის ელექტროსადგური, ქალაქის სასაკლაო, ქალაქის რეზერვუარი, ტრამვაის მთავარი კანტორა, ქალაქის ნისქვილი, სასურსათო განყოფილების საწყობები, საცხოვრები, დახლები, საავადმყოფოები, სადებინფექციო კამერა და სხვა დაწესებულებები [24, 62].

„საკლუბო დანაშაულის“ პრევენციის მიზნით 1918 წლის 12 ნოემბერს ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით სათამაშო ქალაქის დამზადება საქართველოს ტერიტორიაზე გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო მონოპოლიად. კანონის გამოცემამდე დამზადებული სათამაშო ქალაქი კი გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. ამავე კანონის მეორე მუხლიდან გამომდინარე, ქალაქის გაყიდვიდან შემოსული თანხა 1918 წლის 26 მაისიდან უნდა ჩაერიცხათ საქართველოს ხაზინაში [25, 84].

საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ ცნობილი სახელმწიფო მნიშვნელობის დანაშაულის – ყალბი ფულის ბეჭდვის შემთხვევები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც ყოფილა. ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, საქართველოში სხვადასხვა დროს მზადდებოდა, როგორც რუსეთის, ასევე ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყალბი ფულის ნიშნები.

1918 წლის 28 მაისს, თბილისში, ვერის დაღმართზე მდებარე სასტუმრო „ბელვიუში“, სამართალდამცავმა ორგანოებმა გაჩხრიკეს ვინმე ტერარუთინოვის მიერ დაკავებული ნომერი, სადაც აღმოაჩინეს: ყალბი ფულის საბეჭდი მოწყობილობა, საბუთები, მიწერმონერის ქალაქები და ყალბი რუსული ფულის ნიშნები 46 ათასი რუბლის ოდენობით. მართალია, ტერარუთინოვმა მოასწრო მიმალვა, მაგრამ ბინაზე დააკავეს ვინმე ჩერნიშევა, რომლის აქტი-



ური დახმარებითაც, ყალბისმქმნელი, თურმე, დღეში ასი ათასობით რუბლს ბეჭდავდა და რუსეთისაკენ დაძრულ ლტოლვილთა შორის ასაღებდა.

1918 წლის აგვისტოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმმა, რომელსაც რაზმის უფროსის თანაშემწე პლატონ ფაჩულია მეთაურობდა, ყალბი ფულის მჭრელთა გამოსავლენად ოპერატიული ღონისძიება განახორციელა. ოპერაციის შედეგად დააკავეს ყალბისმქმნელთა კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომლის წევრებიც თბილისში, არტილერიის ქუჩაზე, ერთ-ერთი დამნაშავეის – ვინმე კუჭავას ბინაზე მონყობილ ფულის საბეჭდ ექსპედიციაში ამზადებდნენ რუსეთის დროებითი მთავრობის ფულის ნიშნებს, ე.წ. „კერენკებს“ (ეს სახელი შეარქვეს დროებითი მთავრობის მეთაურის ა. კერენსკის გვარის მიხედვით) – 40 მანეთის ნომინალით, ხოლო შემდეგ, თბილისისა და ბორჯომის არალეგალური სააგენტოების საშუალებით მოსახლეობაში ავრცელებდნენ. ყალბისმქმნელები არც ამიერკავკასიისა და საქართველოს ბონების გაყალბებას ერიდებოდნენ.

1919 წლის 21 მაისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იუწყებოდა: „ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ბაზარზე გაჩნდა ამიერკავკასიის კომისარიატის ყალბი ბონები, რომლის დამახასიათებელი ნიშანი არის შემდეგი: 1) ქალაღი გაქონილია, 2) სურათის კონტურას აკლია მრავალი წვრილმანი, როგორც სიმსუბუქის მხრივ, აგრეთვე რიცხვითაც“ [44, 25-26].

ამავე დროს ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ ეკლესიისადმი, კრიმინალებს სტიმული მისცა ხელი მოეთბოთ ეროვნულ საგანძურზე. თითქმის სისტემატური სახე მიეცა შემორჩენილი საეკლესიო ქონების ძარცვა-დაყარალების ფაქტებს. სავალალო ის იყო, რომ ზოგჯერ დეგრადირებული სამღვდლოებაც ერთვებოდა

დანაშაულებრივ ქმედებებში. მაგალითად, 1920 წლის იანვარში წალენჯიხის ეკლესია სასულიერო პირებმა გაქურდეს, რომელთა შორის იყვნენ: ერთი მონაზონი და ხუთი მღვდელი [3, 196-197].

დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ზოგიერთ რეგიონში (ზუგდიდში, საჩხერეში) ბანდიტური ჯგუფები ახერხებდნენ მილიციის ქვედანაყოფების განიარაღებას, პარალიზებას. იყო მილიციიდან დეზერტირობის ფაქტებიც. დამფუძნებელი კრების დეპუტატებსაც ჰქონდათ საქართველოს მილიციის მიმართ პრეტენზიები – არაპროფესიონალიზმი, უდისციპლინობა, ძალაუფლების გადაჭარბება, „გათავისუფლებული მონის“ სინდრომი, ძალის არაადეკვატური გამოყენება [22, 30-31].

საქართველოს დედაქალაქში კრიმინოგენული ვითარების გართულების გამო შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა გადანყვიტა, თბილისის მილიციის უფროსად ქალაქის თვითმმართველობისათვის ვლადიმერ სულაქველიძის კანდიდატურა შეეთავაზებინა, რომელმაც მანამდე თავი გამოიჩინა ქუთაისის მილიციის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

1919 წლის მაისიდან ვალოდია სულაქველიძე დედაქალაქის მილიციის ხელმძღვანელია. ის მაშინვე ენერგიულად შეუდგა თბილისის სამართალდამცავი უწყების რეორგანიზაციას. ორი კვირის განმავლობაში დაითხოვა ყველა უბნის კომისარი და სტრუქტურა ახალი კადრებით დააკომპლექტა. მთლიანად გადაისინჯა საშტატო ერთეულები და ის მილიციელები, ვინც დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებდნენ ან კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში იყვნენ შემჩნეული, დააპატიმრეს. ვ. სულაქველიძე პირადად ამოწმებდა სადარაჯოზე მყოფ მილიციელებს. მალე მიაღწია იმას, რომ თანამშრომლები სამსახურში ფორმის გარეშე არ გამოცხა-

დებულებების და რომ განმასხვავებელი ლითონის სანიშნეები ყველა მათგანს წესრიგში ჰქონოდა. სამსახურიდან დათხოვნილ თანამშრომლებს კი ფორმის ტარება სასტიკად აუკრძალა. თბილისი ქუჩების განათება სუსტად იყო ორგანიზებული. მილიციას უნდა შეემომწებინა, როგორ ასრულებდნენ სახლის პატრონები კანონის მოთხოვნას, დაბინდებისთანავე აენთოთ სახლების გარე განათების ფარნები ელექტრონით ან ნავთით, რაც არ სრულდებოდა. მილიციის განახლებული ხელმძღვანელობის ძალისხმევით მცირე ხანში ქუჩის განათება სრულად აღდგა. სულაქველიძემ დაავალდებულა მოსახლეობა, ღამით სადარბაზოები და ეზოები დაეკეტათ. ამ ღონისძიებებმა საგრძნობლად შეამცირა დანაშაულის რაოდენობა და შეამსუბუქა კრიმინალური მდგომარეობა. ამავე დროს აიკრძალა დანაშაულში ეჭვმიტანილთა სახლების ღამით ჩხრეკა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ასევე, მილიციელებს სასტიკად აუკრძალათ სადარბაზოებზე მათრახით დოგმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მილიციის უფროსი პირადად მონაწილეობდა ყველა ოპერაციაში, რიგითი დამნაშავეების დაკავება იქნებოდა თუ ტერორისტული აქტების გამოძიება [45, 42], რაც დამოუკიდებლობის წლებში ინტენსიურად ხდებოდა.

რა არის ტერორი? ეს სიტყვა რუსეთში დასავლეთიდან შემოვიდა. მისი ლათინური ძირი გაშიშვლებულია – **terror**, სიტყვასიტყვით ითარგმნება „საშინელება“ და იგი დიდი ხანია არსებობს. ამ სიტყვას იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველ რომში, ჩვენს ერამდეც კი. ლარუსის ფრანგული ენციკლოპედია აღნიშნულ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: „ტერორი – ძალადობა და დანაშაულობანი, რომელთაც სისტემატურად ახორციელებენ იმ მიზნით, რომ ინდივიდუალთა ჯგუფები შიშში იყოლიონ.“ იგივე სიტყვების შესახებ ოქსფორდის ლექსიკონში ნათქვამია: „ტერორი – საფრანგეთის რევოლუციის პერიოდი (და ანალოგიური პერიოდები, რომლებიც

რევოლუციონერთა სისხლიანი ექსცესებით ხასიათდება)“. ეს განმარტება სრულიად მიუღებელი იყო მარქსისტებისათვის.

უებსტელის ამერიკული ლექსიკონი კი ტერორიზმს ასე ახასიათებს: „ტერორი – მწვავე შიშის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ძალადობის გამოყენებით, რასაც პარტია ან ფრაქცია ახორციელებს (სისხლისღვრა, დაპატიმრება, კონფისკაცია ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით)“ [46, 29].

ყველაზე გასმაურებული ტერორისტული აქტი, რომელსაც დიდი გამომხაურება მოჰყვა, ეს იყო გენერალ ბარათოვზე თავდასხმა. ვინ იყო გენერალი ბარათოვი (ბარათაშვილი)? ქართველი კაზაკი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი (1917წ.), დენიკინის თანამებრძოლი და მეგობარი იყო. ნიკოლოზი დაიბადა 1865 წელს ვლადიკავკაზში. მისი მამა-პაპა რუსეთში ცხოვრობდნენ და მეფის არმიაში მსახურობდნენ. ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაამთავრა რეალური სასწავლებელი, სამხედრო სკოლა და სამხედრო აკადემია. 1890 წლიდან მეფის არმიაში იმყოფებოდა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობებზე, აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში – მეთაურობდა კავკასიის 1-ელ კაზაკთა დივიზიას, 1916 წლიდან კი კავკასიის ცალკე საკავალერიო კორპუსს. მცირე ხნის შემდეგ დაინიშნა ირანში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლად. ჯარებმა მისი სარდლობით თვალსაჩინო ბრძოლები ჩაატარეს სარიყამიშისა და ალაშკერტის ოპერაციების დროს. ამიერკავკასიაში ვიზიტის დასრულების შემდეგ, 1920 წლის თებერვლიდან სამხრეთ რუსეთის მთავრობაში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. დენიკინის გადაყენების შემდეგ, ყირიმის თეთრგვარდიულ ხელისუფლებაში, სერიოზულად განიხილებოდა ნ. ბარათაშვილის კანდიდატურა სამხრეთ რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. გარდა იმისა, რომ იგი იყო პროფესიონალი სამხედრო მოღვაწე, წარმატებით ეწეოდა აგრეთვე დიპლომატიურ საქმიანობასაც [47, 53].

საგულისხმოა, რომ 1919 წლის ივნისის ბოლოს დენიკინმა თავის წარმომადგენლად ამიერკავკასიაში ნიკოლოზი დანიშნა. საქართველოს მთავრობა მას „დენიკინის არაოფიციალურ ელჩად“ მოიხსენიებს. ნ. ბარათაშვილის ძირითადი მიზანი იყო ამიერკავკასიაში დარჩენილი მეფის ყოფილი ოფიცრების მობილიზება და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების არმიებში მათი გაგზავნა. მას ევალეობოდა აგრეთვე შეეცვალა ის ანტიდენიკინური განწყობილება, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებაში სუფევდა [48, 66].

1919 წლის 3 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა მიიღო ნიკოლოზი. გენერალმა განუცხადა მინისტრს, რომ მოხალისეთა არმიის სარდლობა არ ემუქრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ შეშფოთებული იყო იმით, რომ ქართული არმია ახდენდა თავდასხმებს მოხალისეთა არმიის ზურგში (ნაგულისხმევი იყო ზღვისპირეთში გამართული საბრძოლო მოქმედებები). ბარათაშვილმა პრეტენზია გამოთქვა იმაზეც, რომ მის ხელთ არსებული ცნობებით, საქართველოდან მოხალისეების მტრებს, კერძოდ, ინგუშებს ეგზავნებოდა საბრძოლო იარაღი. ასეთი ფაქტები ნამდვილად არსებობდა, კერძოდ, 1919 წლის 23 იანვარს საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო: „რადგან ჩვენ აქამდე კეთილგანწყობილებაში ვიყავით ინგუშებთან და სასურველია ეს განწყობილება შემდეგშიაც განვაგრძოთ, სამხედრო საბჭო სცნობს შესაძლოდ, გაუმართოს მათ ხელი, რითაც შეიძლება“ [49, 2]. ე. გეგეჭკორმა სტუმარს მიუგო, რომ საქართველოს რესპუბლიკას არავითარი აგრესიული გეგმები არ ჰქონდა და ყოველთვის ცდილობდა დაემყარებინა მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობები...[50,95].

ე. გეგეჭკორისა და გენერლის შეხვედრა საინტერესოდ აღწე-

რა თავის დღიურში სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარემ ვ. ჯულელმა: „გუშინ ევგენიმ (გეგეჭკორი), კონიამ (გვარჯალაძე) და მე ვინახულეთ გენ. ბარათოვი – დენიკინის არაოფიციალური ელჩი. მე პირველად შეეხვედი ამ პოპულარულ გენერალს. იგი მეტად მჭერმეტყველია, მეტად სიტყვა — წყლიანი და ძალიან ტკბილად მღერის, ახდენს გულწრფელობის შთაბეჭდილებას. მან განაცხადა, დენიკინი სცნობს თქვენს ხელშეუხებლობას, თქვენს ნეიტრალიტეტს, თქვენს დამოუკიდებლობას და არ თხოულობს თქვენგან არავითარ ძალას. მას უნდა ერთი რამ: — გაათავისუფლეთ იგი თქვენი შეტევის მუქარისაგან, ნუ დაუშლით მას მოსკოვზე შეტევას“ - ო...

აღნიშნული შეხვედრის გარდა ნ. ბარათაშვილს საგარეო უწყების ხელმძღვანელთან კიდევ ორჯერ ჰქონდა აუდიენცია, რომლის დროს მხარეებმა ძირითადად განიხილეს საქართველოს ჩრდილოეთის საზღვართან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოში ვიზიტამდე გენერალი იმყოფებოდა ბაქოში, სადაც შეხვედრები ჰქონდა პრემიერმინისტრ ნ. უსუბეკოვთან. აგვისტოს ბოლოს ნიკოლოზი აზერბაიჯანის პარლამენტში გამოცხადდა. იგი არწმუნებდა დეპუტატებს, რომ მისი სარდალი არ იყო მტრულად განწყობილი აზერბაიჯანის მიმართ [48, 68]. ამიერკავკასიაში ქართველი კაზაკი გენერლის ვიზიტმა ძალიან შეაშფოთა ბოლშევიკები. მათ, ცხადია, არანაირად არ აწყობდათ საქართველოსა და აზერბაიჯანის შეთანხმება დენიკინთან. სწორედ ეს გახდა მიზეზი რომ ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა გენერლის მოკვლა.

1919 წლის 13 სექტემბერს თბილისში ნ. ბარათაშვილზე განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა. რუსთაველის პროსპექტიდან ვერის დაღმართზე მიმავალ საქართველოს სამხედრო უწყების ავტომობილს, რომელშიც ისხდნენ გენერლები: ი. ოდი-

შელიძე, ნ. ბარათაშვილი და მისი ადიუტანტი პოლკოვნიკი სელიმ ალხაგი, ხელყუმბარა ესროლა ბოლშევიკ ტერორისტმა არკადი ელბაქიძემ. ტერაქტის შედეგად ადგილზე დაიღუპნენ სელიმ ალხაგი, ავტომობილის მძღოლი, მისი თანაშემწე და შემთხვევით გამვლელი ერთი მოქალაქე. მსუბუქად დაიჭრა ი. ოდიშელიძე, ხოლო ნ. ბარათაშვილი – მძიმედ. მას ყუმბარის ნამსხვრევები ორივე ფეხში მოხვდა. გენერლები სასწრაფოდ გადაიყვანეს მიხაილოვის საავადმყოფოში, რაც შეეხება თავდამსხმელს, იგი მილიციელების მიერ იქნა მოკლული.

ვინაიდან თავდამსხმელი ბოლშევიკი აღმოჩნდა, მოხალისეთა არმიის სარდლობას არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს საქართველოს მთავრობისათვის. ნ. ბარათაშვილის ადიუტანტი პორუჩიკი დესპოტული გაზეთ „უტრო იუგასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკებს ამ ტერაქტით სურდათ საქართველოს ხელისუფლებასა და მოხალისეთა არმიის სარდლობას შორის დაწყებული მოლაპარაკების ჩაშლა. ნ. ბარათაშვილი საავადმყოფოში მოინახულეს ნ. ჟორდანიამ და ე. გეგეჭკორმა, აგრეთვე უცხოური მისიების ყველა წარმომადგენელმა.

ისინი, როგორც ჩანს, ძალზე შენუხდნენ მომხდარი ფაქტით, რადგან ოლიგერ უორდროპი და ვ. ჰასკელი დღეში ორჯერ მიდიოდნენ დაჭრილთან. კაზაკ გენერალს თანაგრძნობის დეპეშები გაუგზავნეს ნ. უსუბეკოვმა და გენერალმა ს. მენმანდაროვმა [48, 70-71].

საბჭოთა მთავრობამ არკადი ელბაქიძე სიკვდილის შემდეგ 1928 წელს, წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო ვერის დაღმართს, სადაც ტერაქტი განხორციელდა ელბაქიძის დაღმართი დაარქვა. აღნიშნულ პერიოდში ბოლშევიკების მიერ ინტენსიურად მიმდინარეობდა დივერსიული ჯგუფების შემოგზავნა საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე. ასევე, ცალკეული პირების შემოსვლა დესტაბილიზაციის გამონწვევის მიზნით. მაგალითად, 1920 წლის აპრილში, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ლავრენტი ბერია, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) კავკასიის სამხარეო ორგანიზაციისა და იმავდროულად კავკასიის ფრონტის მე-11 არმიის რევოლუციურ საბჭოსთან არსებული სარეგისტრაციო განყოფილების რწმუნებული, მიავლინეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თბილისში ის უკავშირდება სამხარეო კომიტეტს, კერძოდ, მის წარმომადგენელს – ამიაკ ნაზარეთიანს და იწყებს რეზიდენტების შერჩევასა და განლაგებას საქართველოსა და სომხეთში, ამყარებს კონტაქტებს საქართველოს არმიისა და გვარდიის შტაბთან. ინფორმაციის ფარულად გადაცემის მიზნით, გზავნის კურიერს ბაქოში.

ბერიამ საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ფართოდ გაშლა ვერ მოახერხა. მისი აქტიურობა მხედველობიდან არ გამოორჩენია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. პირადად მინისტრის ნ. რამიშვილის განკარგულებით მაისის თვეში საქართველოს სპეცსამსახურებმა – საგანგებო რაზმმა, ბაქოდან მორიგი ინსტრუქციის მიღების შემდეგ ბერია თბილისში დააპატიმრა. აი, რას იხსენებს ლავრენტის ბიძაშვილი გერასიმე ბერია: „ლავრენტი მენშევიკებმა ბოლშევიკური პარტიის ცეკას შენობაში დააკავეს, სადაც ნაზარეთიანს უნდა შეხვედროდა. მენშევიკების საგანგებო რაზმმა ალყა შემოარტყა ნაგებობას და ლავრენტი იქიდან გამოსვლისთანავე აიყვანა. ერთი დღე-ღამე ტფილისში გააჩერეს, შემდეგ კი ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს“.

ბერიას ბრალად ედებოდა: ბოლშევიკური აგიტაცია — პროპაგანდა, დამოუკიდებელი ქვეყნის სანინააღმდეგო (ჯაშუშური) საქმიანობა, პროკლამაციების გავრცელება, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მოქმედი უცხო ქვეყნის პარტიის წევრობა, ცრუ ხმების გავრცელება და ა.შ.



იმავე წლის ივლისში ის, ბოლშევიკებსა (გ. სტურუას) და ნ. ჟორდანიას შორის მოლაპარაკების შედეგად სხვებთან ერთად გაათავისუფლეს და ქვეყნიდან გააძევეს. ბერია ბაქოში დაბრუნდა [51, 17-18].

1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების თანახმად რუსეთის ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის მიუხედავად საქართველოს ლეგალიზებული კომუნისტური პარტია ხელმოცარული ორგანიზაცია იყო. შეიძლება ითქვას, რომ ლეგალიზებამ მის მუშაობას ზიანიც კი მიაყენა, რადგან უსაფრთხოების განცდამ მისი ბევრი წევრი მოადუნა. ახლა ისინი აღარც მალავდნენ საკუთარ პარტიულ კუთვნილებას, რის გამოც ადვილად ხვდებოდნენ ქართული მილიციის შავ სივბში. ძირგამომთხრელი საქმიანობის პირველი ნიშნებისთანავე საქართველოს მთავრობა ხელახლა იწყებდა კომუნისტების დევნას, ზოგს საპატიმროებში უჩენდა ადგილს, ზოგს კი ქვეყნიდან აძევებდა. დადგენილია, რომ მხოლოდ 1920 წლის მაისსა და ნოემბერს შორის ქვეყნიდან ორი ათასზე მეტი ბოლშევიკი იქნა გაძევებული [20, 290]. ქართველი სამართალდამცავები ხშირად აპატიმრებდნენ რუსეთის საელჩოს ეჭვმიტანილ თანამშრომლებს ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, მაგრამ შემდეგ დიპლომატიური ხელშეუხებლობის გამო ათავისუფლებდნენ. გარეშე და შიდა მტერი კვლავ ტერორისტული აქტებით ცდილობდა ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობის დაძაბვას და მოსახლეობაში შიშის დათესვას. ცნობილი ტერორისტული აქტი განხორციელდა ძეგვის ხიდის აფეთქებით, რის შედეგად რკინიგზის მოძრაობა პარალიზებული გახდა. დააკავეს ერთი სომეხი და ერთი რუსი – შმაგილოვი. დანაშაულის დამტკიცების მიუხედავად, გასამართლების შემდეგ ორივე დამნაშავე გაათავისუფლეს. არაპირდაპირი წყაროებით ირკვევა, რომ ეს მოხდა ინგლისელთა ზენოლით [18, 279-280].

ბათუმში, შვეციის კონსულის ვაჟი დღისით, მზისით იქნა მოკლული, მაგრამ მილიციამ მკვლელის კვალს ვერ მიაგნო. ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანი იყო 1920 წლის 1 მაისს გამთენიისას გენერალ ლიხაოვის მკვლელობა. დამნაშავე აღმოჩნდა ვინმე გ უ ბ ე ლ ი – ბათუმში ბოლშევიკთა სამხარეო კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი [20, 250].

ამავე წლის 19 ივნისს თბილისში სომხური პარტიის „დაშნაკცუ-თიუნის“ წევრებმა რევოლუციით დაჭრეს აზერბაიჯანის პირველი და მაშინ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფათალიხან-ხოსიკი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა [52, 54]. 24 ივნისს ბოლშევიკებმა თბილისში მოკლეს აზერბაიჯანის მთავრობის ყოფილი მინისტრი ჰ ა ს ა ნ — ბეკ ალაევი. ასევე იყო ქართველი სოციალდემოკრატი პოლიტიკოსების მკვლელობის მცდელობებიც [12, 224].

ბოლშევიკების დივერსიული ჯგუფები და მათი აგიტატორები კიდევ უფრო გააქტიურდნენ 1920 წლის ბოლოს. კერძოდ, ამავე წლის დეკემბერში სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს აზერბაიჯანის სსრ წარმომადგენლობის რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ საქართველოს წინააღმდეგ [53, 27].

როგორც ცნობილია გერმანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში. გერმანელების შემოსვლამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც ხელისუფლების თანხმობით განხორციელდა, კიდევ უფრო გაართულა კრიმინოგენული ვითარება. განსაკუთრებით გახშირდა ეთნიკური ნიშნით ჩადენილი დანაშაული. გერმანელი სამხედროებისაგან ზურგგამაგრებული აქ მცხოვრები გერმანელი კოლონისტები ისე იქცეოდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში [54].

1918 წლის ივლისში თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის მცხოვრებმა 25 გერმანელმა კოლონისტმა 15 გერმანელ ჯარისკაცთან და ერთ ოფიცერთან ერთად განაიარაღეს რამდენიმე ქართული სოფელი. განაიარაღების დროს გერმანელები მკაცრად ექცეოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. როზგებით სცემდნენ ქალებსა და კაცებს. კლავდნენ გლეხების ძაღლებს, იჭრებოდნენ სახლებში და ახდენდნენ ჩხრეკას. იარაღის დამალვის შემთხვევაში, ისე სასტიკად სცემდნენ გლეხებს, რომ ზოგიერთი მათგანი იღუპებოდა. 1918 წლის 1 აგვისტოს ისევ ასურეთის მცხოვრებმა გერმანელებმა სოფელ ბოგვში (დღევანდელი ჯორჯიაშვილი) ქართველ გლეხებს წაართვეს 60 ფუთი ხორბალი და თანაც უბრძანეს საკუთარი ურმებით ჩაეტანათ მათთვის ასურეთში [55, 76]. იმავე თვეში გერმანელების რაზმმა სოფელ მუხრანს დააკისრა 35 ათასი მანეთის გადახდა. მცხეთის რაიონის კომისარი განაიარაღეს და დააპატიმრეს [55, 88].

1918 წლის შემოდგომაზე ბორჩალოს მაზრა გერმანელი კრძინალების სათარეშო ასპარეზად იქცა და ფაქტობრივად საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციას ჩამოაშორეს. მაზრაში მათ თვითნებურად დაანესეს ფასები ხორბალზე – 150 მანეთი, ხორბლის ფქვილზე – 200 მანეთი, ქერზე – 700 მანეთი. სოღანლულის გზით ბორჩალოს მაზრიდან ყოველდღიურად მოჰქონდათ რამდენიმე ურემი პურპროდუქტები. ურმებს აცილებდა გერმანელების შეიარაღებული დაცვა. სამართალდამცავი ორგანოების კანონიერ მოთხოვნაზე გერმანელები ცეცხლით პასუხობდნენ. 21 სექტემბერს, ღამის 2 საათზე, სადგურ სანაინის რაზმის მთვრალ გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი ძალით შეიჭრა მე-2 კლასის დარბაზში, სადაც მგზავრებისაგან მოითხოვდნენ ქალიშვილების დათმობას. „მგზავრები შეშინდნენ, ატირებული ქალები მუხლმოდრეკით ემუდარებოდნენ – არაფერი დაგვიშავოთ“ [55, 108-109].

გერმანელები განსაკუთრებით ავინროვებდნენ ბორჩალოს მაზრის აზერბაიჯანულ სოფლებს. 11 აგვისტოს სოფელ კასუმლოს გლეხებს წაართვეს 65 ფუთი ხორბალი. ამავე დროს მოსთხოვეს 9 ათასი მანეთი. სოფელ ბორჩალოს მოსახლეობას კი დაავალეს სამი საათის განმავლობაში 150 მანეთი გადაეხადათ კოლონისტების სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ მთელი სოფლის გადანვით [55, 81].

ჯარისკაცები გერმანელი კოლონისტების სასარგებლოდ ძარცვავდნენ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სოფლებს. არ ერიდებოდნენ ამკარა ძალმომრეობას. თვითონვე ასამართლებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და აკისრებდნენ გადასახადებს [56]. უფრო მეტიც, გახშირდა თავდასხმები სახალხო გვარდიის ჯარისკაცებზე [57]. შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა სამართალდამცავი ორგანოები არსებული პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ვერ ასრულებდნენ თავის მოვალეობას აღეკვეთად ყაჩაღური თავდასხმები საქართველოს მოსახლეობაზე. ქართველი საზოგადოება აღაშფოთა მომხდარმა ფაქტებმა და ძალოვანი სტრუქტურების უმოქმედობამ, დაეცვა თავისი მოქალაქეები. გლეხობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ „იარაღით დაიცავდნენ თავიანთ ღირსებასა და სახელს“ [55, 70].

მოსახლეობაში ანტიგერმანული განწყობილების შექმნას მისიის წარმომადგენლებიც ამჩნევდნენ. გენერალმა ფონკრესმა ნოე ჟორდანიასთან საუბარში განაცხადა, რომ „როგორც მას ესმის, ქართველი ხალხი უარყოფითად ეკიდება გერმანელთა ყოფნას საქართველოში, ამავე დროს კი გერმანელები მოვიდნენ აქ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სურვილის თანახმად“. ნ. ჟორდანიამ, თავის მხრივ, პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და დიპლომატიურად შენიშნა, რომ „საქართველოში გერმანელთა ყოფნით ქართველი ხალხის უკმაყოფილება – გაუგებრობაა...“ [54].

სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლება კარგად ხედავდა გერმანიის პოლიტიკის ნამდვილ მიზნებს. მთავრობის ოფიციაში ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა: „მიამიტობა იქნებოდა მოლოდინი იმისა, რომ თითქოს გერმანია უანგაროდ დაუჭერს მხარს ქართველ სოციალდემოკრატიას... ამრიგად, ყველაფერი ეხება საკითხს – საქართველოში გერმანიის რეალური ინტერესების შესახებ. გერმანელები საქართველოში მოვიდნენ არა სოციალდემოკრატიებისა და ნაციონალდემოკრატიების გულისათვის, არამედ მარგანეცის, სპილენძის, ხე-ტყისა და ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრის გულისათვის [58]. ამდენად, ქართველი პოლიტიკოსები კარგად იყვნენ გარკვეული გერმანელების ნამდვილ ზრახვებში.

ზემოთ აღნიშნული დათმობები განპირობებული იყო თავისუფლების გზაზე ახლად გამოსული საქართველოს სიძნელეებით, რომელსაც გარშემო უამრავი მტერი ეხვია. თურქეთისაგან თავის დაღწევას, გერმანიის ჩარევის გარეშე, საქართველო ვერ შეძლებდა. გერმანელებმა კი, სავსებით ბუნებრივია, ისარგებლეს ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობით და შეეცადნენ სარგებელი მეტი ენახათ.

1918 წლის მაისის ბოლოს საქართველოში შემოსული გერმანელები აქ დიდხანს არ გაჩერებულან. 1918 წლი 9 ნოემბერს გერმანიაში დაიწყო რევოლუცია, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო ვილჰელმ II, ხოლო 11 ნოემბერს გერმანიის წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ კომპიენის ტყეში ხელი მოეწერათ დაზავებაზე, რომლითაც გერმანია თავს დამარცხებულად ცნობდა. ამის შემდეგ გერმანია იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამხრეთ კავკასია და კონკრეტულად საქართველო. 1918 წლის 26 დეკემბერს ფოთიდან გავიდა გერმანიის ჯარების უკანასკნელი ემელონი. ბუნებრივია, ამის შემდეგ გერმანელ კოლონისტებს მოაკლდათ ის მხარდაჭ-

ერა, რაც მათ პრივილეგიურ მდგომარეობას ყოველმხრივ უზრუნველყოფდა. მათი მხრიდან დანაშაულის ფაქტები საგრძნობლად შემცირდა.

გერმანიის ჯარების გასვლას საქართველოდან და ინგლისელთა შემოსვლას გარკვეული ქაოსი მოყვა. სომხებმა თავის ვერაგულ პოლიტიკას არ უღალატეს და ქართველები გამოაცხადეს გერმანიის აგენტებად, ე.ი ინგლისის მტრებად [58, 74]. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში მიმდინარე უმძიმესი პოლიტიკური პროცესები, რომელიც ქვეყანას ქუდბედად დაჰყვა, მეზობელი სახელმწიფოების შენიღბული და ვერაგული ქმედებებით იყო განპირობებული. საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები (ჩრდილოეთიდან – საბჭოთა რუსეთი, აღმოსავლეთიდან – აზერბაიჯანი, სამხრეთაღმოსავლეთიდან – სომხეთი, სამხრეთდასავლეთიდან – ოსმალეთი) ქართველთა გაუბედურებითა და მისი ისტორიული ტერიტორიების მიტაცებით იყვნენ დაინტერესებულნი. ამ შემთხვევაში ყურადღებას სომხეთის რესპუბლიკაზე შევაჩერებთ, რომლის ქმედებები უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ზრდის სტატისტიკას. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან (1918 წლის 28 მაისი), დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერებით დაკომპლექტებულმა სახელმწიფოს მმართველმა წრეებმა, საქართველოს ტერიტორიის მისატაცებლად ჩაფიქრებული ოცნების აღსრულებისათვის შესაბამისი გეგმის მომზადება დაიწყო. ამ სამუშაოს პროცესში თანდათანობით გამოიკვეთა ის ზიზლი და ბიოლოგიური სიძულვილი, რომელიც სომხებს საუკუნეების მანძილზე ქართველთა მიმართ ჰქონდა დაგროვილი. რაგინდ პარადოქსადაც არ უნდა მოჩანდეს, დაშნაკცუთიუნის პარტიის იდეოლოგიის საქართველოში გატარების ხელშემწყობ დასაყრდენ ბაზას, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები

და ქართული მიწის ნაყოფით ნასაზრდოები სომხური მოსახლეობა წარმოადგენდა. ისინი „მეხუთე კოლონის“ ფუნქციას შესანიშნავად ასრულებდნენ და საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ფარულად თავგამდებით მუშაობდნენ. გარეგნულად ერთგულების ნიღაბს ატარებდნენ და ორსახოვანი იანუსის ამპლუას შესანიშნავად ირგებდნენ [59, 155]. 1918 წელს ოსმალეთიდან თავის გადარჩენის მიზნით გამოქცეული სომეხი ჯარისკაცები ახალციხე-ახალქალაქის ტერიტორიებს მოედვნენ და ქართველ მაჰმადიანებს დაერივნენ. საქართველოს ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა დამნაშავეთა შესაჩერებლად. სომხებმა ერთერთ სოფელში გამოარჩიეს 12 ქართველი მამაკაცი და ცოლშვილის თვალწინ დახვრიტეს. იქვე საჯაროდ გააუპატიურეს ორი ქალიშვილი. მსხვერპლებმა ბარბაროსების ქვეშ დალიეს სული. დედის თვალწინ მოკლეს შავქათბეგ ფალავანდიშვილის ერთადერთი ვაჟი. წამებით ამოხადეს სული 80 წლის ფალავანდიშვილს. მოსახლეობას როგორც პირუტყვებს ისე ხოცავდნენ. გაყავდათ ერთმანეთზე გადაბმული სამსამი კაცი და ყველას თანდასწრებით ესროდნენ ტყვიებს. თუ მსხვერპლი არ დაეცემოდა, მისცივიგებოდნენ ხიშტებით, დანებით, ცულებით და უღებდნენ ბოლოს. აღსანიშნავია, რომ ამ ტრაგედიაში ადგილობრივი სომხების ბავშვებიც კი იღებდნენ მონაწილეობას. აქციებს ხელმძღვანელობდა ახალქალაქის თავის – აივაზიანის სიძე ჰ ა ი რ ო [60, 153].

ქართული მხარისათვის ფარულად სომეხეთი ომისათვის ემზადებოდა. სამზადისი საქართველოს დედაქალაქშიც შეიმჩნეოდა. კერძოდ, თბილისში აშკარად თუ ფარულად დაიწყო სომეხი ეროვნების მოქალაქეების შეიარაღება და მომზადება. თბილისში დაშნაკთა მესვეურებმა მთელი არსენალების დაგროვება შეძლეს, მალე კი მათ სომხეთში გადაგზავნაზეც დაიწყეს ზრუნვა. „საქართველო უნდა დაინგრეს, აი, იდუმალი მათი ზრახვა და წადილი.

საქართველო უნდა დაიღუპოს – ამბობენ ისინი პრესაში, ბნელ კუთხეებში, კაფეებში, რესტორნებში, დაწესებულებებში, შინ და გარეთ, ოჯახში და კერძო ლაპარაკში. საშინელი ატმოსფერო შეიქმნა, ჰაერი მოინამლა მათი ქადაგებით, ზედმეტი ნერვიულობა დაიბადა საზოგადოებაში“ [60, 183-184].

სწორედ ასეთი პროპაგანდის შედეგი იყო, რომ ომის დროს სომხებმა გაუგონარი სისასტიკე და საშინელი სიძულვილი გამოამჟღავნეს ქართველების მიმართ. ამასთან დაკავშირებით უშუალო თვითმხილველი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქართული კულტურის მოამაგე იოსებ იმედაშვილი ერთერთი ეპიზოდის შესახებ აღნიშნავდა: „ღამით სომხებს დაეტოვებინათ და შეეპილნათ მუხანათურ თავდასხმაში დახოცილი ქართველი ჯარისკაცი. აგერა ტიტლიკანა მეომარი, რომელსაც სასირცხვო ასო მოჭრილი აქვს და პირში სჩრია. აგერ ლერნამტანის ვაჟკაცი ახლად ნვერულვამ აკოკრებული, ქოჩორგადა-ვარცხნილი, ბაგეზე ღიმილ-გაუქრობელი, – ვინ იცის რა წუთებში აღმოხდა სული, მკვდრად გაპოხილია, ეტყობა უკვე გაციებულისათვის დაუციათ ხანჯალი. აგერ ჩასხმული ბიჭი, ვეფხვს რომ ჰგავს, კეფაგახეთქილი, მკლავებმემოკანრული, სახსრებში გადაღრღნილი. აგერ ცხვირმოჭრლები, მთლად დატიტვლებულნი, აგერ შუბით თვალებჩათხრილები, აგერ ასოასო აკუნული...“ [61].

1918 წლის ბოლოს საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობის გამო, მთავრობის ბრძანებით, თბილისში სამოქალაქო დაპირისპირების და ანარქიის თავიდან ასაცილებლად სამხედრო წესები გამოცხადდა. უსაფრთხოების დაცვის მიზნით მთავრობამ რამდენიმე სავალდებულო დადგენილებაც გამოსცა, რომლის ძალითაც ქალაქში იკრძალებოდა ცეცხლსასროლო იარაღის ტარება. ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კერძო პირები, გამონაკლისი



სამსახურების გარდა ვალდებული იყვნენ დადგენილების გამოქვეყნებიდან 24 საათის ვადაში საკომენდანტო სამმართველოში (გოლოვინის გამზირი №7) ჩაებარებინათ იარაღი. ამავე დროს იკრძალებოდა გამოსვლები, მანიფესტაციები, კრებები, ყრილობები. ლექციებისა და რეფერატების კითხვა მხოლოდ გენერალგუბერნატორის ნებართვით იყო დასაშვები. ხოლო ქალაქის და კერძო ელექტროსადგურები ვალდებული იყვნენ მთელი ღამე გაენათებინათ ქუჩები. აგრეთვე, წესდებოდა შეზღუდვები მგზავრობაზე, გადაადგილებაზე, ტვირთის გადატანაზე, ხმებისა და განცხადებების გავრცელებაზე და სხვ.

მთავრობამ ქალაქის დასაცავად, კონტრრევოლუციის, სპეკულაციისა და ძარცვის თავიდან ასაცილებლად მილიციის ძალა არასაკმარისად ჩათვალა და დამატებით საგანგებო შენაერთი დააარსა [24, 62-63]. სომხების თავდასხმამდე თბილისში და სომხებით დასახლებულ სოფლებში, როგორც ავღნიშნეთ ინტენსიურად მიმდინარეობდა ანტიქართული პროპაგანდა. ეს კი ერთგვარ ნაქეზებას წარმოადგენდა და დანაშაულებრივი ქმედებებისაკენ უბიძგებდა სომხებს ქართველების წინააღმდეგ. როგორც პეტრე გელეიშვილი აღნიშნავდა: „...ყველგან დაიწყო ფულის შეგროვება საქართველოს წინააღმდეგ ომის სანარმოებლად. განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ სომხებით დასახლებულ სოფლებში ადგილობრივი მღვდლები. ისინი საქართველოს წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომს ქადაგებდნენ და გლეხებს ფიცს ადებინებდნენ, ამასთან ერთად, ჯვრის ნაცვლად ამბორისათვის ხანჯალს აძლევდნენ, იმის ნიშნად, რომ იარაღით ხელში იბრძოლებდნენ ქართველთა წინააღმდეგ“ [60, 258].

აღსანიშნავია, რომ ანტისახელმწიფოებრივ, ძირგამომთხრელ ქმედებებში აქტიურად ჩაერთვნენ აგრეთვე, საქართველოს სომეხი ეროვნების მილიციონერებიც. მაგალითად, „წულუკიძემ სანასარ

გალეჩიანი და რამდენიმე მილიციონერი გადააყენა და თბილისს გამოგზავნა დასასჯელად, რომელთა გადასახლებადაც მოითხოვდა...“ [60, 287]. 1918 წლის დეკემბრის ბოლოს სომხეთ-საქართველოს ომის პარალელურად სომეხთა შეიარაღებულმა ძალებმა ეროვნული ნიშნით მოახერხეს საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის ანიოკება, ხოლო ისტორიული ქართული სოფელი წერაქვი სომხების მიერ მინასთან იქნა გასწორებული [60, 289].

ომის მსვლელობისას, დაშნაკთა და მათ მხარდამჭერთა ძირ-გამომთხრელი მუშაობისა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მკაცრი, მაგრამ ადეკვატური ზომების გატარება დაიწყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ეს ზომები ანტიქართული პროდაშნაკური ელემენტების ჩხრეკისა და დაპატიმრებებში გამოიხატებოდა. ფართოდ იყო გაჩაღებული აგრეთვე ყოველგვარი საბოტაჟის წარმოება (გავიხსენოთ ძეგვის ხიდის აფეთქება, გერმანელთა კომენდატურის დანვის ფაქტი და სხვა) და დივერსიული მოქმედებების ფართოდ გაშლა საომარ მოქმედებათა რაიონებში [60, 467]. სომეხთა ეროვნული საბჭოს შენობაში (არამიანცის სახლი) ფარულად მიმდინარეობდა სომხეთის დასახმარებლად სომეხ მოხალისეთა შეგროვება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1918 წლის დეკემბერში დააპატიმრა ანტიქართული კამპანიის ორგანიზატორები: ალექსანდრე ბარხუდარიანი დაჩგი-ორგი ჯამა-გორიანცი, რომლებსაც აღმოაჩნდათ სომეხ და რუს მოხალისეთა სიები, ერევანში მათი მივლინების უწყისებით. 59 მოხალისეზე გამოყოფილი იყო 1475 მანეთი. ამ მოხალისეთა შორის იყვნენ: პოლკოვნიკები – ბაბაჯანოვი, ალიმოვი; კაპიტნები – ტოროიანცი, კალინკინი, შუბოვი, გუსევი, ტიხონოვი, შიროიანცი, ქოჩარიანცი; უმცროსი ოფიცრები – სუგოიანცი, აზარიანცი, შახ-ბაზიანცი, მატიანცი, ტერპოლოსოვი და სხვები [60, 468].

პარალელურად, ქართველებზე „ნადირობას“ ოსებიც ინტენ-სიურად ახორციელებდნენ. მათ აგრესიას ვერც აჯანყებას და-ვარქმევთ და ვერც სხვა რამეს. ოსების მიერ ქართველების ხო-ცვაჟღერების ერთ ფრაგმენტს ასე აღწერს თვითმხილველი ვინმე დ ი ლ ი გაზეთ „ალიონის“ 1918 წლის 5 აპრილის ნომერში: „... შტაბში გავიგე ვერაგულად მოკლული მ. მაჩაბელი, ს. კეცხოველი და სხვა გვარდიელები ჩამოასვენესო... სანახავად წავედი. როცა მეუბნებოდნენ თუ რანაირად იყვნენ ისინი დასახიჩრებულნი არ მჯეროდა, მეგონა ძალიან გადამეტებულია – მეთქი... საშინელი, გულშემზარავი სურათი იყო... გ. მაჩაბელი ტყვიებით დაცხრილუ-ლი იყო მუხლებში, მერე ხანჯლით დაჩხვლული მთელ ტანზე, საფეთქლის ზევით ხანჯლის წვერით თავის ქალა თითქმის აგლე-ჯილი... აუხსნელია ჩემთვის ადამიანი ასეთ გამხეცებამდის როგორ მივა. ს. კეცხოველს მარჯვენა მხრიდან მუცელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რამაც მას სიცოცხლე მოუსპო ალბათ, შემდეგ ვე-ლურებს თავი მოეჭრათ, მაგრამ კისერში კი არა, მკერდიდან ქონ-და აკეპილი, თავის ქალა დამხსვრეული. სახეზე წვერების მეტი აღარაფერი სჩანდა. ამბობდნენ მოკვლის შემდეგ სხეული ქუჩაზე ეგდო და ზედ ფაიტონები დადიოდნენო...“

ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებულ ველურობისა და სა-დიზმის ამ ფაქტებს საბჭოთა ისტორიოგრაფია გვერდს უვლიდა. ამის გაგება შეიძლება. ავი მიხსიერება ორი ხალხის ერთობლივ ცხოვრებას ნამდვილად არ წაადგებოდა. მაგრამ საკითხისადმი ასეთ მიდგომას, როდესაც ისტორია პოლიტიკურ დანამატად იქცე-ვა, მეორე მხარეც აქვს: ოსებისთვის უცნობი რჩებოდა სიმართლე შიდა ქართლში განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ ფაქტების გამომზეურება დაგვეხმარება ქართველთა მხრივ მოგვიანებით (1920 წელს) ჩადენილი საპასუხო სისასტიკის (ოსური სოფლების გადაწვის) ახსნასა და შეფასებაში [62, 14-15].

როგორც უკვე ითქვა, გერმანელების წასვლის შემდეგ საქართველოს ახლა ინგლისელები მოეწვლინენ მეურვეებად. გასაგებია, რომ მათაც თავისი მიზნები ჰქონდათ. ჩვენი ქვეყნის მესვეურები ყოვლგვარ თავისუფლებას აძლევდნენ „სტუმრებს“, აქაოდა, ანტიდემოკრატიულობა არ დაგვბრალდესო.

დიდი ბრიტანეთი კი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ოფიციალურად არ ცნობდა. ამის გამო რეგიონში მყოფი სამხედრო წარმომადგენლობა საქართველოს ხელისუფლებას სათანადო ანგარიშს არ უწევდა და არც თუ იშვიათად ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ეს გარემოება ქართული პოლიტიკური სპექტრის, მთლიანად საზოგადოებრივი აზრის უარყოფით რეაქციას იწვევდა [63, 66].

ბრიტანელების აგრესიულ მოქმედებას განაპირობებდა მათი ხელმძღვანელების პოზიცია ქართველების მიმართ. აი, რას წერდა თბილისში ბრიტანული ძალების მეთაური გენერალი ჯორჯ ფრენსის მილნი: „ეს ქვეყანა და მისი ხალხი ერთნაირად ამაზრუნენია“, რომ ბრიტანეთის მიერ საქართველოდან ჯარის გაყვანა „ანარქიას გამოიწვევს“, მაგრამ „სამყარო ბევრს არაფერს დაკარგავს, თუ ამ ქვეყანაში ყველა ერთმანეთს ყელს გამოჭრის. ესენი რასაკვირველია, ერთი ბრიტანელი ჯარისკაცის სიცოცხლედაც არ ღირან“ [12, 125].

დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი ინგლისელები სხვადასხვა ხერხს იგონებდნენ მოსახლეობის დასამცირებლად. აი, ერთი მათგანი: თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში (დღევანდელი Tbilisi mariot – ი) განლაგებული იყო საქართველოს „მოკავშირე“ ბრიტანეთის საზღვაო ძალების შოტლანდიელთა პოლკი. უსაქმურობით შეწუხებულმა შოტლანდიელებმა, ალკოჰოლის საგრძნობი დოზის მიღების შემდეგ ასეთი „გასართობი“ მოიგონეს: სასტუმროს წინ, გოლოვინის (დღევანდელი – რუსთაველის) გამზირზე

დადგენენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გამვლელ-გამომვლელის თითო დარტყმით „დანოკაუტებაში“. რაც მთავარია ისინი არც მანდილოსნებს ერიდებოდნენ და მამაკაცთა დარად მუშტით უმასპინძლდებოდნენ [64, 63].

მოსახლეობის აღშფოთების პასუხად სამართალდამცავი ორგანოები პოლიტიკური მოსაზრებით პროფილაქტიკურ ღონისძიებებს არ ატარებდნენ, რამაც უცხოელების კიდევ უფრო მეტი გათავსებება გამოიწვია. მაშინ საქმეში ვერელი „ყოჩაღი“ ბიჭები ჩაერივნენ. ექვსმა ვერელმა 25 შოტლანდიელი მეზღვაური მხოლოდ თავური დარტყმების გამოყენებით ისე სცემა, რომ ორი მათგანი გარდაიცვალა, დანარჩენები კი ლაზარეთში მოათავსეს. საჩივარში, რომელიც შემდგომ ნაცემმა შოტლანდიელებმა მილიციის უფროსს „მიაართვეს“, ასეთი ფრაზა იყო: „მათ ჩვენს წინააღმდეგ არაჯენტლმენური ილეთები იხმარეს, თავები და იდაყვები გამოიყენესო“ [64, 64].

ბრიტანელთა ყოფნის პერიოდში დანაშაულის ზრდას ადგილი ჰქონდა პერიფერიებშიც, განსაკუთრებით აჭარის ტერიტორიაზე. ბათუმი ბრიტანელებს 1918 წლის შემოდგომიდან ჰქონდათ დაკავებული. თურქების გასვლის შემდეგ იმპერიის დაახლოებით ორი ათასი ჯარისკაცი, უმეტესად ინდოელები, წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ მრავალეროვან ბათუმში, რომელიც სავსე იყო ერთმანეთს გადამტერებული პოლიტიკური დაჯგუფებებით, რაც ხშირად იწვევდა არეულობასა და ქალაქს დაუსრულებელ შფოთვასა და დუღილში ამყოფებდა. პოლიტიკური მოტივებით, შურისძიებით თუ ჩვეულებრივი სიხარბით ჩადენილი მკვლევლობები ლამის ყოველდღიურობად ქცეულიყო. ფრანგი ჟურნალისტი, გაზეთ „დრო“-ს სპეციალური კორესპონდენტი წერდა: „ეს ქალაქი, ისევე, როგორც მთელი ეს მხარე, მღელვარებისა და კორუფციის ცენტრადაა ქცეული“ [20, 250].

პატიმართა მეათედსაც კი ვერ იტევდა ბათუმის ციხეები. საკნები ძლივს ყოფნიდა ურიცხვ დამნაშავეს, რომლებმაც ბათუმი ბოროტმოქმედების ბუდედ აქციეს. თბილისისა და ქუთაისის მმართველ ელიტას ჩვევად ჰქონდათ ბათუმის ხარჯზე განეტვირთად თავისი ქალაქები ბოროტმოქმედებისა და მეძავებისაგან და ამით გაერთულებინათ საქმე ბრიტანელებისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ბათუმში მომხდარი ყველა დანაშაულის 90% ბრიტანული ოკუპაციის დროს ჩაიდინეს ქართველებმა. დამნაშავეთა დასაშინებლად ბათუმის ოლქში ბრიტანელმა ხელმძღვანელებმა მიმართეს საჯარო „გზეკუციას“. ეს იყო მეტად მკაცრი ღონისძიება. ინგლისელმა ოკუპანტებმა სამჯერ გამოიყვანეს პატიმართა მცირე ჯგუფი ციხიდან და ხალხის თვალწინ დახვრიტეს. სასჯელმა ქალაქში ჯადოსავით იმოქმედა დამნაშავე ელემენტებზე. ყოველი ეგზეკუციის შემდეგ დანაშაული საგრძნობლად კლებულობდა რამდენიმე კვირის მანძილზე [65, 410]. 1920 წლის ივლისში ბრიტანელთა გასვლამ ქვეყნიდან მეტნაკლებად შეამცირა დანაშაულის რაოდენობა, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმში ხალხი ამ ამბავს ზეიმობდა, ქუჩები ეროვნული დროშებით იყო მორთული. გავიდა თუ არა პორტში ბრიტანული ჯარი, ქალაქში მწყობრად შეაბიჯა ქართველი გენერლის, გიორგი კვინიტაძის ქვედანაყოფებმა. „საქართველო ბრიტანელი იმპერიალისტების წასვლას ისე ზეიმობდა, როგორც დიდ გამარჯვებას“, წერდა დევიდ ლენგი, „იმაზე კი არავინ ფიქრობდა, რომ ახლა მას უფრო მრისხანე მტრები შემოეჯახებოდნენ გარს“ [12,140].

უცხოელებს არც ქართველი სამართალდამრღვევები ჩამორჩებოდნენ. 1918 წლის სექტემბრის ბოლოს საქართველოს რკინიგზის ტყიბულის შტოზე სადგურ „მინერალურ წყლებზე“ 4 შეიარაღებული ყაჩაღი მორჩაძის მეთაურობით თავს დაესხა მატარებელს და რამდენიმე მილიციელს. კომისარს იარაღი აპყარეს. მოხსნეს ორთქლმავალი და 1 ღია ვაგონი ტყიბულისკენ წაიყვანეს [43, 88].

1919 წლის ზაფხულში საქართველოს რკინიგზის სისტემა დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. დამნაშავეთა სამყარომ სწორედ ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სატრანსპორტო საშუალება ამოიღეს მიზანში და დღე არ გავიდოდა შემადგენლობა არ გაეძარცვათ. აზიანებდნენ ლიანდაგებს, რათა მათთვის სასურველ ადგილზე შეეჩერებინათ ემელეონები. სადგურ გრაკალთან სარკინიგზო შემადგენლობაზე თავდასხმამ მდგომარეობა საბოლოოდ დაამძიმა. მილიციის ის შემადგენლობა, რომელსაც რკინიგზის დაცვა და უსაფრთხოება ევალებოდა, გახშირებული თავდასხმების წინაშე უძლური აღმოჩნდა.

1919 წლის 18 სექტემბრის მთავრობის დადგენილების №21 შესაბამისად საქართველოს რკინიგზაზე გამოცხადდა სამხედრო წესები. დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით გენერალგუბერნატორის მოვალეობის შესრულება დაეკისრა პორუჩიკ ვლადიმერ სულაქველიძეს, რომელსაც ამავე დროს შეუნარჩუნეს თბილისის მილიციის უფროსის თანამდებობა.

ახალმა საგანგებო ხელმძღვანელობამ პირველ რიგში განახორციელა რკინიგზის მილიციის რეორგანიზაცია. აღნიშნულ სამართალდამცავ სტრუქტურას დაემატა 250 მილიციელი. ახალი კადრებით დაკომპლექტებამდე, რკინიგზის ყველაზე რთულ მონაკვეთზე პატრულირება დაიწყო მილიციის განკარგულებაში მყოფმა სახალხო გვარდიის „მფრინავმა“ დანაყოფებმა. მცხეთის რაიონის იმ სოფლებში, საიდანაც ხდებოდა ყაჩაღური თავდასხმები, შეიარაღებული ჯგუფები განალაგეს. გამკაცრდა კონტროლი მგზავრთა ნაკადზე. მილიციის ახალი ხელმძღვანელობა აპატიმრებდა ეჭვმიტანილებს და ხდებოდა ბოროტმოქმედთა ლიკვიდაცია. განადგურებულ იქნა დამნაშავეთა თავშესაფრები. გატარებულმა ოპერატიულმა ღონისძიებებმა სათანადო შედეგი გამოიღო. ცოტა ხანში რკინიგზაზე წესრიგი დამყარდა და მიმოსვლა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა [45, 43]. ამავე პერიოდში თელავის მაზრაში მოქ-

მედება დაიწყო ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფმა, რომლებიც დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ [58, 74]. ბანდიტები „ტყის ძმების“ სახელით გახდნენ ცნობილი. მათგან ყველაზე საშიში იყო ცალთვალა მკვლელი, რომელსაც ზედმეტ სახელად „ბრუციანს“ ეძახდნენ. ბანდაში პოლიტიკური პარტიების წევრებიც იყვნენ გაერთიანებული. თვითმხილველის გადმოცემით ბანდის წევრები ქმრების თვალწინ მათ ცოლებს აუპატიურებდნენ. „ცალთვალა“ კი რევოლუერის სანდოობას ამოწმებდა „ადამიანის თავის ქალაზე“ [58, 78]. 1920 წლის ოქტომბრის დასაწყისში მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით, ადმინისტრაციული წესით, 3 თვის ვადით დააპატიმრეს ნისქვილის მეპატრონენი: იაკობოვი, დადახიანი, ალიხანოვი და ეგაიანი. ასევე, ქალაქის კონტროლიორი სამოვიჩი და ტექნიკური განყოფილების უფროსი ბულიოტი. მათ ბრალად ედებოდათ უხარისხო პურის რეალიზაციის პროცესისადმი უყურადღებობა [65].

აღნიშნული წლის ბოლოს ინტენსიურად მიმდინარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი კვალიფიციური კადრებით შევსების პროცესი.



# მეხუთე თავი

## სახელმწიფოს ძირითადი კანონი

კონსტიტუცია (ლათინურად *constitutio* მონყობა, დადგენა) სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს მის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ მონყობას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფოს მართვისა და მოღვაწეობის ორგანიზაციის პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს. კონსტიტუცია წარმოადგენს მთელი მიმდინარე კანონმდებლობის საფუძველს [31, 297].

საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პირველივე დღეებში, 1918 წლის ივნისში დაიწყო, საკონსტიტუციო კომისიის შექმნით, რომელიც რამდენიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთაგან შედგებოდა. სერგო ჯაფარიძე, სოციალ-დემოკრატი, ამ კომისიის პირველი თავმჯდომარე იყო [12, 247]. საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო 1919 წლის თებერვალში არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ გააგრძელა. კრებამ შექმნა კომისია – საგანგებოდ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის გასაგრძელებლად. პირველი კომისიის მსგავსად, ახალშიც შედიოდნენ სხვა, არა სოციალ-დემოკრატი წევრები, მათ შორის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, სოციალისტ-ფედერალისტებიდან და სოციალისტ-რევოლუციონერებიდან. კომისიის თავმჯდომარედ რაჟდენ არსენიძე დასახელდა, ხოლო ჯაფარიძე მის წევრად დარჩა.

კონსტიტუციაზე მუშაობის დასრულებამდე, საფუძვლისეული სამართლებრივი დოკუმენტის როლს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ასრულებდა, რომელიც მმართველობის ფორმად დემოკრატიულ რესპუბლიკას აცხადებდა, პრინციპებად – ადამიანის

უფლებათა პატივისცემას და ასე შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად კონსტიტუციის ჩანაცვლება ეს არ ყოფილა, 1919 წელს დამფუძნებელმა კრებამ ხელახლა დაადასტურა დამოუკიდებლობის აქტი.

საკონსტიტუციო კომისია არჩევის მეორე დღესვე – 1919 წლის 19 მარტს შეუდგა მუშაობას. როდესაც რ. არსენიძე იუსტიციის მინისტრად დაინიშნა, კომისიის თავმჯდომარეობა პ. საყვარელიძეს დაეკისრა. კომისიის მდივანი გ. გვაზავა, რომელიც მოგვიანებით კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრადაც აირჩიეს. აღსანიშნავია, რომ სარედაქციო კომისიაში მოწვეული იყვნენ ცნობილი მეცნიერები და მოღვაწენი, მათ შორის ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ივ. გომართელი, ილ. ზურაბიშვილი და სხვ. კომისიებში მოწვეული „მცოდნე პირებისათვის“ გარკვეული გასამრჯელოც იყო დაწესებული. დამფუძნებელმა კრებამ ამ მიზნით 1919 წლის მარტში 20 ათასი მანეთი გამოყო [15, 357-358]. 1920 წლის 9 ივნისს, დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 59-ე საგანგებო სხდომაზე დაიწყო და 24 დეკემბერს დასრულდა კონსტიტუციის პროექტის ზოგადი განხილვა. ძირითადი მომხსენებელი იყო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე. 16 დეკემბრიდან დეპუტატები კონსტიტუციის ცალკეულ თავებს განიხილავდნენ, ხოლო 28 იანვრიდან შეუდგნენ მუხლობრივ განხილვას.

ნითელი არმიის ნაწილების თავდასხმამ განხილვის პროცესი რამდენადმე დააჩქარა. 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუცია მიღებულ იქნა. ამასთან დაკავშირებით გ. გვაზავა მოგვიანებით წერდა: „დამფუძნებელ კრებაში თითქმის ყველა გრძნობდა თავის პასუხისმგებლობას... კრება მუშაობდა თავგამოდებით მაშინაც კი, როცა ქალაქს მოაწვა რუსეთის ლაშქარი, ისროდა ზარბაზანი და ცაში სკდებოდა ყუმბარები... ჩვენ დავიშალენით მხოლოდ გათენებისას, როცა საბოლოოდ დავამტკიცედ ჩვენი კონსტიტუცია –

ძირითადი კანონი საქართველოს რესპუბლიკისა. მტერმა დაგვიდგა ცეცხლის აპოთეოზი, მაგრამ ამ ცეცხლიდან გამოვიტანეთ მაინც უმშვენიერესი ფურცლები ჩვენი ისტორიისა“.

მართლაც პირველი ქართული კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ეს სამართლებრივი დოკუმენტი აშკარად იდგა თავისი დროის მონინავე დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების დონეზე. მისი მიღებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი აღიარების გზაზე. იმის მიუხედავად, რომ ქართველებს არანაირი სამართლებრივი და კონტიტუციური გამოცდილება არ გააჩნდათ იმ ერთი საუკუნის განმავლობაში, რუსეთის ავტოკრატიული მმართველობის ქვეშ რომ გაატარეს, სოციალ-დემოკრატებმა – აღნიშნავს გიორგი პაპუაშვილი – „ისეთი სამართლებრივი აქტის შექმნა მოახერხეს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ყველა კონსტიტუციისაგან გამორჩევით დგას, მისი უნიკალურობითაც და თანმიმდევრობითაც“.

კონსტიტუციის ძირითად ელემენტებს შორის აღსანიშნავია: ადგილობრივი თვითმმართველობა, სიკვდილით დასჯის გაუქმება, სიბყვისა და რწმენის თავისუფლება, საყოველთაო საარჩევნო უფლება (ქალებისათვის საარჩევნო უფლების ჩათვლით), ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და უკანონო დაკავების აკრძალვა [12, 246-247].

კონსტიტუციის დამტკიცებით საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, არსებითად, თავისი დანიშნულება შეასრულა. კრებას ახლად მიღებული ძირითადი კანონის საფუძველზე უმოკლეს დროში პარლამენტის არჩევნები უნდა დაენიშნა. საქართველოს პარლამენტის არჩევის შემდგომ, დამფუძნებელი კრება თავის რწმუნებებს

ამ საკანონმდებლო ორგანოს გადასცემდა, მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად ინება.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისი საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს. საქართველომ ვერ შეძლო შემოჭრილი მტრის მოგერიება. დემოკრატიული რესპუბლიკა დამხოვილი იქნა. ხელისუფლება ახალი ძალის – ბოლშევიკური რევკომის ხელში გადავიდა. ახლად შექმნილმა რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 24 მარტის დეკრეტით საქართველოს დამფუძნებელი კრება დათხოვნილად გამოაცხადა. კრების ნევრთა ერთი ნაწილი 16 მარტს, ბათუმში გამართული უკანასკნელი სხდომის შემდგომ, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მსგავსად ემიგრაციაში გაიხიზნა. საქართველოში დარჩენილებმა დამარცხებული და თავისუფლებანართმეული სამშობლოს ბედი გაიზიარეს [15, 361-362].

1921 წლის კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან. კონსტიტუციის პირველივე მუხლით აღიარებულია საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. კონსტიტუციის გვირგვინს წარმოადგენს მისი მე-3 თავი, რომელშიც დეტალურადაა ჩამოყალიბებული საქართველოს მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს და მათი უფლებების კონსტიტუციურ გარანტიებს. ძალზე საინტერესოაა წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემა. მოწინავე სახელმწიფოთა კონსტიტუციური დებულებების ზეგავლენა 1921 წლის კონსტიტუციაზე იქიდანაც იგრძნობა, რომ სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციების დახასიათებას საფუძვლად უდევს ხელისუფლების დანაწილების გარკვეული პრინციპები, თუმცა ეს პირდაპირ არ არის მინიშნებული კონსტიტუციაში [66, 47].

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის 1028 დღის განმავლობაში გაიმიჯნა სა-

კანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. წპოლიტიკური სისტემა პლურალიზმსა და მრავალპარტიულობის ლიბერალურ პრინციპებს დაეფუძნა. დაწესდა კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობა და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სხვა დემოკრატიული უფლებები [63, 26, 32]. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სასამართლო რეფორმა: გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალები და საგამომძიებლო კომისიები, განხორციელდა მომრიგებელ მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების რეორგანიზაცია. ჩამოყალიბდა სამომრიგებლო და საოლქო სასამართლოები. ცალკე არსებობდა სამხედრო სასამართლო. 1919 წლის ივლისში შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო – სენატი.

## ბამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. ბ ე რ ი ძ ე, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წლები), თბ., 1992
2. გ. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე, მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918-1921 წწ.) თბ., 1992
3. ქ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ., 2000
4. გ. გ ი ო რ გ ა ძ ე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995
5. ტ ო ნ ი ო ნ ო რ ე, მოკლე შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბ., 2018
6. რ ე ი მ ო ნ დ უ ე ქ ს ი, სამართლის ფილოსოფია, თბ., 2012
7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, აღწერილობა 1, საქმე 3
8. ა. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჩვენი შეცდომები 1918-1921, თბ., 2000
9. ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018
10. გ. კ ვ ი ნ ი ტ ა ძ ე, მოგონებები, II, თბ., 1999
11. ჯ. გ ა ხ ო კ ი ძ ე, ი. გ ა ბ ი ს ო ნ ი ა, მ. მ ა მ ნ ი ა შ ვ ი ლ ი, პ. მ ო ნ ი ა ვ ა, საგამოძიებო სამართალი, წიგნი პირველი, თბ., 2018
12. ე რ ი კ ლ ი, ექსპერიმენტი საქართველოს მივიწყებული რევოლუცია, თბ., 2018

13. О. Н. З н а м е н с к и й, Интеллигенция накануне великого октября, Ленинград., 1988
14. საქართველოს დემოკრატიული ლესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია – ლექსიკონი, თბ., 2018
15. ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002
16. ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, როგორ წარმოედგინათ საქართველოს დროშა 1917 წლის გაზაფხულზე, ჟურნ. „ისტორიანი“, 2019, №8
17. ა. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კულტურა და ინტელიგენცია 1917-1937 წლებში, თბ., 2008
18. რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, რაც მახსოვს, „დაბრუნება“, ტ. 3, თბ., 1992
19. ი. ი რ ე მ ა ძ ე, ს. ჭ ა ნ ტ უ რ ი ძ ე, პირველი საყოველთაო არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017
20. ფ ი რ უ ზ ქ ა ზ ე მ ზ ა დ ე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, თბ., 2016
21. ა. ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, თბ., 2004
22. ა. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ა. დ ა უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1918-1921, თბილისი-ატლანტა., 2012
23. ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1998

24. მ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის პრაქტიკული მოღვაწეობა 1917-1921, თბ., 2017
25. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990
26. ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონტიტუციაში, თბ., 2013
27. ბ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სათავეებთან (1919-1921), თბ., 2004
28. მ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარება და თანამედროვე პრაქტიკა დიდ ბრიტანეთში, კრ. „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“ (თავისებურებანი და პრობლემები), თბ., 2017
29. ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია 1801-1890, თბ., 1997
30. ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები, თბ., 1963
31. იურიდიული ენციკლოპედია, თბ., 2008
32. ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს პირველი ლესპუბლიკა (1918-1921 წწ.) თბ., 2001
33. ს. ლ ო ბ ჟ ა ნ ი ძ ე, აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალეზადობის შუქზე, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2006



34. კ ა რ ა პ ე ტ გ რ ი გ ო რ ი ა ნ ც ი, ძველი თბილისის იშვიათი ამბები, თბ., 2011
35. ო. გ ო გ ო ლ ი შ ვ ი ლ ი, საზოგადოებრივი მოძრაობა და პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში მე-20 საუკუნის დასაწყისში, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2010, №2
36. ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, პ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991
37. რ. ქ ე ი შ ვ ი ლ ი, რკინის სახკომი, თბ., 1992
38. თ. ს ი მ ა შ ვ ი ლ ი, საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია რევოლუციონერების წინააღმდეგ საქართველოში 1894-1908 წლებში, თელავი., 2003
39. ნ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული, თბ., 1990
40. ო. გ ო გ ო ლ ი შ ვ ი ლ ი, პრესის როლი სოციალური და ეროვნული მოძრაობის გააქტიურების საქმეში (ბათუმის ოლქი, 1911-1913 წწ), კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2008, №1
41. ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, „ფოსტით მიღებული რევოლუცია“ (1917 წლის თებერვალ-მარტი საქართველოში), ჟურნ. „ანალები“, 2017, №13
42. ი. გ ი კ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მოღვაწეობა საფრანგეთში (1921-1933 წწ.), სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2017
43. ბ. ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი, რუსეთის „ჰიბრიდული ომი“ საქართველოს წინააღმდეგ 1918-1921, თბ., 2018

44. ნ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, თბ., 1998
45. დ. ხ ვ ა დ ა გ ი ა ნ ი, ვალოდია სულაქველიძე დამნაშავეობის მტერი, ჟურნ. „ისტორიანი“, 2018, №5
46. К р и с т ი ა ნ Р у л е т т, Покушение в Ватикане: Механизми интриги, пер. С Французского, М., 1986
47. ა. ს ო ნ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, კაზაკები საქართველოში, თბ., 2003
48. გ. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია (საკანდიდატო დისერტაცია) თბ., 2002
49. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2037, აღწერილობა 1, საქმე 7
50. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2030, აღწერილობა 1, საქმე 1
51. გ. ს უ ლ ა ძ ე, საქართველოს პირველი პრემიერის ნოე რამიშვილის მკვლელობა, თბ., 2018
52. ბ. ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი, რუსეთის „ჰიბრიდული ომი“ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჟურნ. „არსენალი“, 2018, №5
53. ბ. ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი, რუსეთის „ჰიბრიდული ომი“ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჟურნ. „არსენალი“. 2018, №6
54. გაზეთი „Борна“, 1918, №102

55. გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს (დოკუმენტებისა და მასალების კრებული), შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა მ. გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე მ, თბ., 1942
56. გაზეთი „ერთობა“, 1918, 25 სექტემბერი
57. გაზეთი „Борна“, 1918, №99
58. შ ა ლ ვ ა მ ა ლ ლ ა კ ე ლ ი ძ ე, მოგონებები, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ ი ქ ტ ო რ რ ც ხ ი ლ ა ძ ე მ, თბ., 2018
59. შ. ვ ა დ ა ქ კ ო რ ი ა, ქართული ებოსიდან ამოზიდული ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე), თბ., 2014
60. ა. ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბ., 2007
61. ი. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, განახლებული სიცოხლე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920, №11
62. უ. ბ ლ უ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი? თბ., 2005
63. ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, საქართველოს დემოკრატიული ლესპუბლიკა 1918-1921, თბ., 2018
64. გ. კ ო კ ო შ ა შ ვ ი ლ ი, ქართული საბრძოლო ხელოვნება, თბ., 2012
65. გაზეთი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, 7 ოქტომბერი
66. პ. ც ნ ო ბ ი ლ ა ძ ე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 1996

